ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 23 დეკემბერი 1997 №167 (532) ფასი 40 თეთრი





## გუშინ პარიზში რონალდოს ოფიციალურად გადაეცა ფრანგულ საფეხბურთო ჟურნალ „ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთი“

# კლინსმანი გამთენიისას ლონდონში იყო

იურგენ კლინსმანის სახელი წლების განმავლობაში ჰქუხდა „ბებერ კონტინენტზე“ და მთელ პლანეტაზე. ახლა ფეხბურთელს უიღბლო სეზონი უდგას, მერე რა, რომ კვირას იტალიის პირველობაზე გოლი გაიტანა, განა კლინსმანისთვის ერთი გოლი ბევრს ნიშნავს? პროფესიული სპორტი ასეა, თუ სულ არ კაშკაშებ, უცბათ ავიწყდები ხალხს, რომლის თვალსაც უკვე სხვისი სიკაშკაშე ჭრის. გერმანელ ფორვარდს ბოლო დროს ტრავმებმა შეუწუხეს გული, კლინსმანი საავადმყოფოში კი ხალხისთვის გაცილებით ნაკლებ საინტერესო თემაა, ვიდრე კლინსმანი მოედანზე. ამიტომაც მისი გვარის ბრუნებამ პრესაში იკლო. კვირა საღამოს დაიწერა, „სამპდორიას“ შემადგენლობაში შეცვლაზე შევიდა და გოლი გაიტანაო...



იურგენ კლინსმანს გულმა ისევ ლონდონისკენ გაუწია

და უცბად, ორშაბათს, სააგენტო „როიტერი“ დედამიწის ყველა რედაქციას ამცნობს, რომ იურგენ კლინსმანი ლონდონშია, სადაც თავის ძველ გუნდში, „ტოტენჰემ ჰოტსპურში“ ითამაშებს.

თავდაპირველად მეხივით გავარდნილი სიტყვები კლინსმანის „სპურზში“ გადასვლის შესახებ ლონდონური კლუბის პრეზიდენტის ალან შუგარის პირით შეიტყვეს. გერმანელი თავდამსხმელი სეზონის დარჩენილ ნაწილს ინგლისის პირველობაზე გაატარებს. იგი „ტოტენჰემმა“ გენუის „სამპდორიასგან“ ითხოვა. ფეხბურთელს „ტოტენჰემში“ 1995 წლის მაისამდე ეთამაშებოდნენ, შემდეგ კი იგი მიუნხენის „ბაიერნში“ გადავიდა.

33 წლის კლინსმანი ადრე იტალიურ „ინტერშიც“ თამაშობდა და ფრანგულ „მონაკოშიც“, „სპურზში“ გადასულმა კი პრემიერლიგის ერთ სეზონში 29 გოლი გაიტანა და წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მოიპოვა.

— ამ დილით, განთიადზე ქალაქის ერთ-ერთ საავადმყოფოში სწრაფი სამედიცინო შემოწმება ჩავუტარეთ. ის დაგვიბრუნდა, რათა სეზონის დარჩენილ ნაწილში დაგვეხმაროს — განაცხადა შუგარმა ტელეინტერვიუში.

„ტოტენჰემიდან“ გამოსული ხმების თანახმად, კლინსმანს ახლავე, კვირასვე შეუძლია „არსენალის“ წინააღმდეგ თამაშში მიიღოს მონაწილეობა.

მაშინ, 1995 წელს, შუგარი განაწყენებული გახლდათ გერმანელი ფორვარდის „ბაიერნში“ გადასვლით. მან ფეხბურთელს კონტრაქტის დარღვევასა და „უაიტ ჰარტ ლეინიდან“ გაქცევაში დასდო ბრალი, მაგრამ გუშინ ეს ამბავი აღარავის გახსენებია.

მაშინ, აგვისტოში შუგარი ტელევიზიით რომ გამოვიდა, ხელთ კლინსმანის სათამაშო მაისური ეპყრა. შუგარმა მაისური დაჭმუჭნა და მოისროლა, თან დასძინა, ამით ჩემი მანქანის წმენდასაც კი არ დავიწყებო.

— აი, ეს იყო კაცი, რომელიც ამბობდა, რომ უყვარს „ტოტენჰემი“. თუ ამ კაცს კლუბი უყვარდა, მაშ მოძულისგან რაღას უნდა ველოდოთ — აცხადებდა იგი.

იხილეთ მეხუთე გვერდი

# მისი მადლიერია ისრაელი ელი კოენი

## გიორგი დარასელია ახალ წელს შინ ვერ შეხვდება



ძუკუს ჩვენში ყველა იცნობს. ახლა ებრაელებმაც გაიცნეს და გუნდის შეუცვლელ ფეხბურთელად ითვლება. არ თამაშობს გიორგი დარასელია, ესე იგი, მოგებაზე ფიქრი ზედმეტია. თელ ავივის „ჰაპოელი“ წინა ჩემპიონატში მეცამეტე ადგილს დასჯერდა. წელს კარგახანს ლიდერობდა ჩემპიონატში, წრის ბოლოს ცოტა წაიფორხილა და წინ ერთი ქულით შარშანდელი ჩემპიონი „ბეითარი“ გაუშვა. კლუბის აღმასვლას დარასელიას უმადლიან. მწვრთნელი ელი კოენი, რომელმაც შარშან „ბეითარი“ ჩემპიონი გახადა, ყველა მძიმე დავალებას მას აკისრებს, ჩვენებური თავდამსხმელიც გახლავთ, გამთამაშებელიც, ბურთის ამოტანაც მას ევალება და დაცვასაც ეხმარება. გუნდს მოთამაშეს თუ გაუძევებენ, სხვასთან ერთად გაგდებულის ფუნქციებსაც ძუკუ შეითავსებს. მოკლედ, ისრაელში თელ ავივის „ჰაპოელს“ ერთი ქართველის გუნდს ეძახიან. არადა, გიორგის კარგა ხანია, მარცხენა ფეხი აწუხებს, მაგრამ დასვენებითაც რომ არავინ ასვენებს...

ერთი კვირის წინ ძუკუს რომ შევეხმიანეთ, დაგვპირდა, ვეცდები შინ წამოსვლამდე კვლავ პირველ ადგილს დავუბრუნდეთო. ძუკუმ დანაპირები შეასრულა — ანჩაბაძისა და ყიზილაშვილის „ჰაპოელს“ ტრადიციულად 1:0 მოუგო, ოღონდ ეგ იყო არც „ბეითარმა“ დაჰკარგა ქულა, ამირან მუჯირის „მაკაბისთან“.

— ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში თავის ბოლო მატჩს ატარებდა. პოლონელებთან საპაექროდ დავით ყიფიანმა მეც დამიძახა. კვირას უნდა გადმოვფრენილიყავი, შაბათს კი ებრაელების თასზე, ისინი „ტოტოს“ რომ ეძახიან და, ფაქტობრივად, ყოვლად უაზროა, „ბეითარს“ ვეთამაშეთ. ამათ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე პორტუგალიურ „სპორტინგთან“ 3:0 წაეგოთ და გაბრაზებულნი გვეწვივნენ. ცეცხლზე ნავთი დავუსხით, ჩვენც 3:0 ვუგებდით. თამაშის ბოლოს ორი მცველი მოვატყუე, ბურთი შევიგდე და ის იყო, ცაცხათი უნდა დამერტყა, რომ მცველმა ფეხში ჩამარტყა. ეგ კიდევ არაფერი, დავდგი თუ არა, მაშინვე შემიტრიალდა. რაღა მექნა, ვერც პოლონელებთან ვითამაშე და საქმე სამკურნალოდ გამიხდა. ბოლომდე ვერაფრით მოვიშუშე. თითქოს მოვირჩენდი, ისევ თამაში მიწევდა. ისევ და ისევ. წრის ბოლომდე ასე გაგრძელდა. ახლა, ექიმების დასკვნით, ექვსი კვირა უნდა დავისვენო, მაგრამ სულ ერთი კვირით გამომიშვეს. გუშინ დილით ჩამოსული 28 დეკემბერს თელ ავივში უნდა ვიყო. 29-დან შეკრება გვეწყება. ახალი წელი კი ისრაელში 1 ოქტომბერს იზეიმეს. თუმცა, დაგვპირდნენ, ევროპელებს საახალწლოდ დაგასვენებთ, მაგრამ სამშობლოში ვერ გაგიშვებთო. ფეხსაც საბოლოოდ იქ მოვირჩენ. ვთხოვე, ორი კვირით გამიშვით, საქართველოში მიმკურნალებენ და ჯანმრთელადაც დავბრუნდები-მეთქი. არაფერი გამოვიდა, ჩვენ მოგხედავთო, მითხრეს.

...ებრაელები ძუკუს ყურადღებას არც თბილისში აკლებენ. რედაქციაში სტუმრად მოსულს მობილურ ტელეფონზე თელ ავივიდან არაერთხელ დაურეკეს. ხელმძღვანელებს ყველაფერი აინტერესებდათ — ხომ უპრობლემოდ იმგზავრე, ოჯახში ხომ კარგად ხართ, რაიმე ხომ არ გიჭირსო. გული რომ დაიმშვიდეს, მერეღა დაისვენა ტელეფონმა...

— ებრაელები საქმის ხალხია. თუ ნახეს, არ ცუღლუტობ და გუნდისთვისაც სასარგებლო ხარ, ყველა პირობას დაუყოვნებლივ შეგისრულებენ და თავს შემოგევლებიან. თუ არადა, თავსატეხი არ მოგაკლდება. ხელფასზე გაწუწუნებენ, ვიზას დაგიბრკოლებენ და უამრავ რამეს გამოგიჩხრეკენ. მოკლედ, თუ გინდა კარგად მოეწყო, გუნდისთვის ყველაფერი უნდა გაიღო, თავი არ დაზოგო.

**— იქაურ ფეხბურთზე რას გვეტყვი?**

— ებრაელებმა ფეხბურთს სერიოზულად მიხედეს. დიდი ფულია ამ საქმეში ჩადებული და დონესაც არა უშავს. ორი წლის წინანდელი თამაშები უნდა ნახოთ. ვიდეოჩანაწერებს ვუყურე და გაოცებული დავრჩი: ძალიან დაბალი დონეა, ახლანდელთან შედარებაც არ შეიძლება. ძირითად ყურადღებას ფიზიკურ მომზადებასა და ტაქტიკას უთმობენ, ტექნიკურად კი მოიკოჭლებენ. ფეხბურთელებს ძალუძთ, მთელი 90 წუთი გაუჩერებლივ ირბინონ. ებრაული ფეხბურთის თავისებურება ისიც გახლავთ, რომ გუნდების უმეტესობა ერთი თავდამსხმელით თამაშობს. ყველა კლუბს გააჩნია კეთილმოწყობილი, ყოველნაირად კომფორტული სტადიონი, რომლებიც წმინდა საფეხბურთო მინდვრებითაა აღჭურვილი. მათი საშუალო ტევადობა 15 ათასი კაცია. მინდვრის საფარი წელიწადში ორჯერ იცვლება. ზაფხულში სხვა გაზონზე ვათამაშობთ, ზამთარში კი სხვა სპეციფიკის საფარია. ვარჯიშებზე და თამაშის წინ დიდი ყურადღება ეთმობა მოთელვას და გაწელვით ვარჯიშებს. ამაზე დაახლოებით 30-35 წუთი იხარჯება. გუნდის ტაქტიკა ორმხრივ თამაშებში იხვეწება. მატჩის წინა დღეს უკვე ვხვდები, რა დამევალება, რადგან მწვრთნელი ამას ორმხრივ თამაშში გაკეთებინებს. ბოლოსწინა ტურს გავიხსენებ — საშინლად წვიმდა. ვარჯიშზე რომ მივედი, დავინახე, ყველას თბილად ეცვა. მე კი მხოლოდ ტრუს-მაისურის ამარა ვიყავი. ძლიერ გაუკვირდათ — წვრთნისას თუ წვიმამ მოგვისწრო, რაც ძალზე იშვიათი გახლავთ,

იხილეთ მეორე გვერდი

# მისი მადლიერია ისრაელი კოენი

## გიორგი დარასელია ახალ წელს შინ ვერ შეხვდება

იხილეთ მეორე გვერდი

მწვრთნელი ვარჯიშს წყვეტს და გვიშვებს, არ გაცივდეთო. ძირითადად ორჯერადი ვარჯიშებია, რა თქმა უნდა, კვირაში ორჯერ თითოსაათიანი თეორიული მეცადინეობაც ემატება. ებრაელები ცდილობენ, ფეხბურთის დონე აამაღლონ და ამისთვის ლეგიონერთა და გამოცდილ მწვრთნელთა მოწვევას არ ერიდებიან. შედეგიც გარკვეულწილად აქვთ.

**— გვითხარი, გუნდების უმეტესობა ერთი თავდამსხმელით ირჯება. თუ შენი გუნდის შედეგიანობას გავითვალისწინებთ, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ „ჰაპოელი“ თავდამსხმელის გარეშე თამაშობს?**

— გინდ დაიჯერეთ, გინდ არა — ჩვენ წინ მუდამ ორი ფორვარდი გვყავს გამწესებული. „ჰაპოელი“ ყოველთვის თავგანწირვით იბრძვის. მთავარია, გოლი არ გაუშვას, ხოლო თუ მოხერხდა და გავიტანეთ, მაშინ თამაში მოგებულია. ძლიერ მეკარეს ლიგაში ერთ-ერთი უკანა ხაზი ემატება. სამი მცველით ვთამაშობთ. ფლანგელებს წინ და უკან სირბილი ევალებათ, მაგრამ ისინი უფრო დაცვას ეხმარებიან.

**— თავად შენ რა ადგილი გამოიგონებნეს?**

— ხან თავდამსხმელი ვარ, უფრო მეტად კი მარცხენა ნახევარმცველის მოვალეობას, ფლანგის გადაკეტვას და შეტევას მავალებენ. გამთამაშებლად სულ ორ მატჩში გამამწესეს და ორივე უპრობლემოდ მოვიგეთ. მოკლედ, სხვა სიკეთესთან ერთად კაცის დევნასაც შევეჩვიე და უკანაც ხშირად ჩავდივარ.

**— ვინ პატრონობს „ჰაპოელს“ და რაოდენ მყარია კლუბის ფინანსური მდგომარეობა?**

— კლუბის სპონსორი ისრაელში ცნობილი ფირმა „კოტლერი“ გახლავთ. ეს ფირმა პლასტმასის ნაკეთობების მწარმოებელია. არა, ფინანსურად ძლიერი გუნდია. გარდა ამისა, კლუბმა ცნობილ ამერიკულ სპორტულ ფირმა „ნაიკთან“ გააფორმა კონტრაქტი. სპორტული ინვენტარის გარდა, „ნაიკმა“ გუნდში ფულიც ჩადო. „ჰაპოელი“ „ნაიკის“ ფორმით თამაშობს. გამონაკლისი რამდენიმე ფეხბურთელია, რომლებიც სხვა ფირმის ბუცებს ამჯობინებენ.

**— შენ რომელი ფირმის ბუცები გაცვია?**

— ჯერჯერობით „დიადორა“ ვარჩიე. ამის გამო ასეთი რამ შემემთხვა: თელ ავივის „მაკაბის“ ვეთამაშებოდით. ებრაელები დედაქალაქურ დერბს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. სტადიონი მუდამ სავსე გახლავთ და მატჩს ტელევიზიისა და ჟურნალისტების ყურადღება აკლია. ჰოდა, ასეთი პრინციპული მატჩი „დიადორას“ ბუცებით ვითამაშე. მეორე დღეს „ნაიკის“ წარმომადგენლები აღშფოთებას ვერ მალავდნენ — დარასელიამ „დიადორებით“ რატომ ითამაშაო. კლუბის წარმომადგენელმა უპასუხა, ფეხზე ვერ მოირგოო. არ მომეშვნენ და საწყობში წამიყვანეს, სადაც ათასობით ბუცი ელაგა. რომელიც გინდა, აირჩიეო, მითხრეს. გვარიანი დრო დაიხარჯა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ფეხზე ვერც ერთი მოვირგე. ისევ „დიადორა“ ვამჯობინე. ისე, სიმართლე თუ გნებავთ, ყველას „ადიდასის“ ბუცები მირჩევნია.

**— მთავარი მწვრთნელი რა სტილის მიმდევარია?**

— ელი კოენი პირველი წრის საუკეთესო მწვრთნელად სცნეს. კარგი კაცია და ფეხბურთი რომ იცის, იქიდანაც ჩანს, რომ შარშანდელი აუტსაიდერი წელს ჩემპიონობისთვის იბრძვის. ისე, სხვებივით ისიც ძალისმიერი ფეხბურთის მიმდევარია. კლუბის ხელმძღვანელობამ ახლახან ორი კვირით ინგლისურ „არსენალში“ მიავლინა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. კოენი 3-5-2 ტაქტიკურ სქემას ამჯობინებს, მაგრამ ამას შემსრულებლები სჭირდება. სულ იმაზეა დავა-კამათი, ბურთი სწრაფად მოიშორონ თუ უფრო მეტად დაიჭირონ და გაათამაშონ. ამაზე მე ჩემი აზრი გამაჩნია — ბურთს სწრაფი გათამაშება თანამედროვე ფეხბურთში კარგი და საჭიროა, მაგრამ არის მომენტები, როცა ბურთის გათამაშება და დიდხანს ფლობა არანაკლებ სასარგებლოა. ვნახოთ, მეორე წრე წინაა და „ჰაპოელიც“ უფრო დაიხვეწება.

**— გუნდში სულ რამდენი ლეგიონერი ხართ?**

— ჩემთან ერთად ხორვატი, სლოვენი და პოლონელი არიან. მე რომ ჩავედი, თავიდან ამრეზით მიყურებდნენ. მოგეხსენებათ, კონკურენციისა და ადგილის დაკარგვის ყველას ეშინია. მერე მიხვდნენ, დამდურებით საქმე გაფუჭდებოდა და უფრო გაიხსნენ, უფრო შევიკარით. მინდორზე ხომ ძლიერმა უნდა ითამაშოს, ისრაელში კი ოთხი ლეგიონერის ყოლაა დაშვებული. ახლა გუნდში ახალი უცხოელი მოჰყავთ ხორვატიიდან, კარგი თავდამსხმელიაო, ირწმუნებიან. ამიტომ კლუბი იძულებული იყო, ერთ-ერთ ჩვენგანს შელეოდა. პოლონელი გაუშვეს.

**— ენის პრობლემა როგორ მოაგვარე?**

— მასწავლებელი დამიქირავეს, რომელმაც ექვსი გაკვეთილი ჩამიტარა. იქ რუსულიც ბევრმა იცის. ენაც გავიტეხე და ებრაული არ მესმისო, იმასაც ვერ ვიტყვი. მწვრთნელის დავალებას თავისუფლად ვიგებ. სათქმელს თანაგუნდელებსაც ვაგებინებ, მეტი არც არის საჭირო.

**— ისრაელში ასეთი კარგი დებიუტის შემდეგ „ჰაპოელი“ ქართველის ყიდვას არ აპირებს?**

— როგორც მე ვიცი, მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია. ვერ გეტყვი, კონკრეტულად ვისთან, მაგრამ ის კი შევიტყვე, რომ თავდამსხმელის ხელში ჩაგდებას ლამობენ. ეს მომავლის ამბავია. მაისამდე არაფერი გამოვა.

**— კონტრაქტი მაისში მთავრდება. სხვაგან წასვლას ან კლუბის გამოცვლას თუ ფიქრობ?**

— ისრაელში ახლაც ორი ძლიერი კლუბი მეპატიჟება, მაგრამ მაისამდე არასად წავალ. ის კი არა, პრეზიდენტს რაღაც ჭორებისთვის ყური მოუკრავს და მაშინვე შეწუხებულმა მითხრა, მაკარა, მაკარა გეორგი, რა ხდება, რატომ გვტოვებო. ძლივს დავაჯერე, მაისამდე არსად წასვლას რომ არ ვაპირებდი. მაისში ჩემპიონატი დამთავრდება და ვნახოთ, დავსხდებით, მოვილაპარაკებთ, პირობებს გადავხედავთ და ყველაფერი გაირკვევა.

**— ისრაელში მოთამაშე თანამემამულეებზე რას გვეტყვი?**

— კაკო დევაძის დამსახურებაა, აშდოდის „ირონი“ ექვსეულში რომ დაფუძნებულა. კაკო ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც ხშირად ხვდება. აშქელონის „ჰაპოელი“ გიორგი ანჩაბაძისა და დათო ყიზილაშვილის შემწეობით გადის ფონს. ესენი ლიდერები არიან გუნდში. ამირან მუჯირმა ჩინებულად აწყო თამაში ფეთახ თიკვას „მაკაბიში“. თემურ ტულუშს ცოტა პრობლემები გაუჩნდა მწვრთნელთან, თორემ მასზე უკეთესები არიანო გუნდში, ვერ იტყვი. მოკლედ, ქართველებს ისრაელში დიდად აფასებენ. მწვრთნელი მეუბნება — ქართველები ბურთით ყველანაირ სასწაულს მოახდენთო. შოთა არველაძისა და თემურ ქეცბაიას თამაშსაც ხშირად ნახულობენ და აღტაცებას გამოთქვამენ.

**— იქაურ ჩემპიონატში კარგად თამაშობს ვინმე ბენი კოზიაშვილი. ხომ არ გამოლაპარაკებიხარ?**

— ბენი ფეთახ თიკვას „ჰაპოელის“ კაპიტანი გახლავთ. 25 წლისაა. მისი ოჯახი საქართველოდან 20 წლის წინ წამოსულა. ბენის ველაპარაკე. ქართულს ახლაც ამტვრევს, კარგი ბიჭია.

**— მომავალი წლიდან ეროვნული გუნდი ევროპის ჩემპიონატის ახალ შესარჩევ ციკლში ჩაებმება. ძუკუ თუ აპირებს თამაშს?**

— მე მუდამ მზად ვიქნები. შემეხმიანებიან თუ არა, მაშინვე თბილისში გაჩნდები. იმიტომ ვარჩიე უცხოეთი, რომ ვარჯიშისა და მომზადებისთვის უკეთესი პირობები მქონოდა. ნაკრებში თამაშზე ყველა ოცნებობს, გამონაკლისი არც მე ვარ. მიმსახურეთ, ბატონებო და ძუკუ არ გიმტყუნებთ.

**მამუკა ქვანტალიანი**



გიორგი დარასელია ებრაული პრესის სიმბოლური ნაკრების ხშირი სტუმარი კი არა უფრო მასპინძელია


**სარეკლამო სააგენტო კოკი და კომპანია**

**რეკლამის დამზადება**

1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება

**კომპიუტერული მომსახურება**

ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება

**25% ფასდაკლებით!!!**

მისამართი: ალ. ყაზბეგის 42 ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.

ტელ. 95 96 56




ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუფუნებაში იმყოფებიანო, არ ეთქმის, მაგრამ ამ საერთო გაჭირვების ჟამს წყალტუბოში საფეხბურთო გუნდისთვის რაც კეთდება, შესაძლებლობის ზღვართან შორს არ უნდა იყოს. მართლაც, ქალაქის მერის მირზა ქორქაშვილის და კლუბის პრეზიდენტის გრიგოლ ქათამაძის ძალისხმევით უკანასკნელ ხანს „სამგურალში“ ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა. ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც ვერავინ იტყვის, გუნდს ხელშეწყობა აკლიაო. ახლა „სამგურალს“ შრომისმოყვარე მთავარი მწვრთნელი ჰყავს და ისეთი ფეხბურთელებიც, ჩვენ ფავორიტ გუნდებისასაც კი ბევრად რომ არ ჩამოუვარდებიან.

მეცხრე ჩემპიონატში ხელმძღვანელობამ „სამგურალს“ ათეულში მოხვედრა დაუსახა მიზნად. ერთი შეხედვით ამ ამოცანის გადაჭრა დიდ სირთულეებთან არც უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, მაგრამ დაიწყო ჩემპიონატი და... უკვე მეორე ტურის შემდეგ წყალტუბოელთა მთავარმა მწვრთნელმა *გივი ბაბუნიძემ* გადადგომა დააპირა.

# გივი ბაბუნიძე: უკვე დავიწყეთ

**— ხომ არ ვცდები?**

— არა, ნამდვილად ასე იყო. პირველი მატჩი გორში წავაგეთ. უსუსურად ვითამაშეთ და იმიტომ. მერე „მარგვეთს“ ვლებულობდით. ოც წუთში 2:0 ვიგებდით, მაგრამ მეტოქემ გააყაიმა. დასუსტებულ ზესტაფონელებთან ფრე ჩვენთვის მარცხის ტოლფასი გახლდათ. თამაშის დამთავრების შემდეგ ცხელ გულზე გუნდიდან წასვლა დავაპირე. ხელმძღვანელობა, ფეხბურთელები მოვიდნენ: ბოლოს და ბოლოს ისეთი რა მოხდა, ერთმანეთს ვენდოთ, თანამშრომლობა გავაგრძელოთ, ყველაფერი წინ არისო. მომდევნო თამაში თბილისში „მერანთან“ გვქონდა. ბიჭებმა მოინდომეს და მოვიგეთ.

**— და მაინც, პირველ წრეში 14 ქულაზე მეტი ვერ აიღეთ. ნუთუ უკეთესად გამოსვლა არ შეგეძლოთ. მით უმეტეს, გამოცდილი ფეხბურთელები — სუხიაშვილი და გიორგობიანი დაგემატათ?**

— როგორ არ შეგვეძლო, 17-18 ჩვენთვის სავსებით ხელმისაწვდომი იყო, მაგრამ მიზეზთა გამო ეს ვერ მოვახერხეთ. წინა გათამაშება რომ დასრულდა, გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ბევრმა სხვაგან წასვლა მოისურვა და ჩვენც იძულებული შევიქენით, ახალი, მეტწილად გამოუცდელი ფეხბურთელებისთვის გვეხმო. მოსამზადებელი პერიოდი პრაქტიკულად განახლებული შემადგენლობით გავიარეთ. საკონტროლო თამაშებით კმაყოფილნი დავრჩით, ვფიქრობდით, რაღაცას მივაგენით, მაგრამ მერე ისე მოხდა, ძველებიც მოგვიბრუნდნენ და რგოლების გადახალისება გახდა საჭირო. ამას ისიც დაერთო, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე ათი დღით ადრე მთელი გუნდი მოიწამლა, სრული დატვირთვით ველარ ვივარჯიშეთ. მოკლედ, ისე დავიწყეთ, რომ ოპტიმალური შემადგენლობა დაუდგენელი დაგვრჩა. და ეს ხარვეზი უკვე ჩემპიონატის მსვლელობისას უნდა გამოგვესწორებინა. ესეც არ დაგვცალდა. ცენტრალურმა თავდამსხმელმა დიმიტრი ჯანელიძემ სამი მატჩი ჩაატარა, მერე კი ტრავმის გამო აღარც უვარჯიშია. ხურცილავამაც დიდხანს იავადმყოფა. წრე ისე დაასრულა, გოლი არ გაუტანია. არადა, მისი დიდი იმედი გვქონდა. ერთი სიტყვით, თავდასხმა მაგრად მოიკოჭლებდა. ტრავმების გამო სხვებსაც მოუხდათ თამაშების გამოტოვება. ეს იყო იმის მთავარი მიზეზი, რომ „სამგურალი“ ვერა და ვერ აეწყო.

სუხიაშვილმა ჩვენთან მეოთხე ტურიდან დაიწყო თამაში. გერმანიიდან დაბრუნებული მარტის თვიდან არ გასულა მინდორზე, ფეხის ტრავმის მოშუშებას დიდი დრო დასჭირდა. გიორგი თანდათან უმატებდა და ბოლო მატჩებში კარგადაც გამოიყურებოდა. სუხიაშვილი თუ მეორე წრეშიც ჩვენთან დარჩა, უეჭველად იტყვის თავის სიტყვას. სათამაშო პრაქტიკა გიორგობიანსაც აკლდა, მაგრამ მისი მოსვლა გუნდს აშკარად დაეტყო. მართალია, პირველ წრეში დასახული გეგმა ვერ შევასრულეთ, ბევრმა ფეხბურთელმა ვერ გამოავლინა თავისი პოტენცია, მაგრამ ცალკეულ მატჩებში თამაშის ხარისხით კმაყოფილი დავრჩი, თუნდაც თსუ-სთან. ბიჭები სულ ახალი მხრიდან გაიხსნენ ჩემს თვალწინ, თავდადებით იბრძოლეს. „დინამოსთან“ მეორე ტაიმიც კარგი იყო.

**— ზუგდიდში, ფოთში სასტიკად დამარცხდით, ათი ბურთი მიიღეთ.**

— იმ თამაშების გახსენებაც არ მინდა. საკუთარ თავს არ ვგავდით.

**— სტაბილური შემადგენლობა რომ არ გყავდათ, იქედანაც ჩანს, რომ 24 ფეხბურთელი ათამაშეთ...**

— გითხარით, ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაში ვიყავით, ამიტომაც ბევრს მივეცით თავის გამოჩენის საშუალება, მათ შორის სულ ახალგაზრდებსაც — ბობოხიძეს, ქუთათელაძეს, ლონლაძეს. ესენი პერსპექტიული ბიჭები არიან, მათ გარდა ჩვენს ფარმ-კლუბ „სამგურალი 2“-ში კიდევ გვყავს ნიჭიერი ჭაბუკები.

მეკარე ბობოხიძემ უკვე მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება. კოპალეიშვილმა იგი ნაკრებშიც გამოიძახა ერთ-ერთ შეკრებაზე. ამ ბიჭს დიდი მომავალი აქვს, ბუნებრივია, თუკი საკუთარ თავზე იმუშავებს. მას ძირითადში ხშირად ვაყენებდით. თსუ-სთან, „ლოკომოტივთან“, „დინამოსთან“ მან საიმედოდ ითამაშა.

**— ვიცით, რომ მეკარეები — თევზაძე ნიშნიანიძე, მცველი გივი ჯანელიძე და წინახაზელი კახა ჯანაშია ტრანსფერზე არიან წარდგენილნი. სხვა ცვლილებები ხომ არ არის მოსალოდნელი?**

— ჯერჯერობით კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით. წასვლის სურვილი არავის გამოუთქვამს. ასეც რომ მოხდეს, საკითხი მხოლოდ კლუბის გადასაწყვეტი იქნება. ხელმძღვანელობა პირნათელია ფეხბურთელების წინაშე. ხელფასები, პრემიები დროულად რიგდებოდა. მოთამაშეებთან ერთწლიანი კონტრაქტებია დადებული და ჩემპიონატის დასრულებამდე ჩვენი ნებართვის გარეშე ვერსად წავლენ.

**— სუხიაშვილის „სამგურალში“ დარჩენა საეჭვოა?**

— გიორგისთან ჩვენ მოლაპარაკებულები ვართ. თუკი უცხოეთში თამაშის ვარიანტი გამოჩნდა, გზას დავულოცავთ. სხვა შემთხვევაში იგი ჩვენთან რჩება. არა მგონია, მან კაცური სიტყვა გატეხოს.

**— გაძლიერებაზე არ ფიქრობთ?**

— სასურველი კია, მაგრამ ყველაფერი კლუბის ფინანსურ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. თუ სახსრები გამოიძებნა მეორე მეკარის ჩათვლით სამიოთხი მოთამაშის დამატება ’არ გვაწყენდა.

**— მეორე წრისთვის მზადებას როგორ გეგმავთ?**

— 19 იანვარს შევიკრიბებით და მოსამზადებელ ეტაპს, ალბათ, ადგილზე გავივლით, თუმცა, პირველი წრე რომ დამთავრდა, ბიჭებს ვთხოვე, სამი კვირა დავისვენოთ და მერე ყველაფრის ნულიდან დაწყება რომ არ მოგვიხდეს, ცოტა მაინც ვივარჯიშოთ-მეთქი. დამიჯერეს. 15 დეკემბრიდან ალექსანდრე ალექსეევის ხელმძღვანელობით გუნდი ფიზიკურად ემზადება ქუთაისში.

**— ადრიანად დაგიწყიათ...**

— არ გვინდა ხელმძღვანელობის და ქომაგთა წინაშე თავი შევირცხვინოთ. მათ ზრუნვას და მხრადაჭერას კარგი თამაშით და შედეგებით უნდა ვუპასუხოთ.

**— ესე იგი „სამგურალის“ ამოცანა — ათეულში მოხვედრა — ძალაში რჩება?**

— ასეა და ვნახოთ.

**იუზა ქაციტაძე**

# შორია ეინდჰოვენამდე?

ბათა კორინთელს მე-18 საუკუნეში მეზობელი შემოაკვდა. იძულებული გახდა, ხაშურში ჩასახლებულიყო და გვარიც გამოიცვალა — კორინთელების ეს შტო მას შემდეგ ბათიაშვილად მოიხსენიება. თსუ-სა და საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრების მეკარე ზურაბ ბათიაშვილიც სწორედ მას ეკუთვნის. ეს შესავალი იმიტომ დამჭირდა, რომ ბათიაშვილზე ამბობენ ებრაელია და ხელს უწყობენო. თავის დროზე ზურას თელ-ავივის „მაკაბისა" და „ეინდჰოვენში" გამგზავრებასაც ებრაელთა ერთმანეთისადმი ტრადიციულ თანადგომას მიაწერდნენ. მოკლედ, ეს ყველაფერი ეჭვიანთა ვარაუდი იყო, უცხოელები კი მხოლოდ ბათიაშვილის ნიჭიერებით დაინტერესდნენ. ვისაც თსუ-სა და ნაკრებში მისი საიმედო თამაში უნახავს, ამას ადვილად მიხვდება. ეჭვი არ არის, XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოს ეროვნული გუნდის მეკარეებს ეს ბიჭი ძლიერ შეავიწროვებს — ზურას საამისო პოტენცია გააჩნია. ასე რომ არ იყოს, არავინ ანდობდა I ჯგუფის ერთ-ერთი ამბიციური გუნდის — თსუ-ს კარის დაცვას გამოცდილ გუბაზ დოლიძესთან ერთად. მით უფრო, რომ სტუდენტთა გამწვრთნელი ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი მეკარე ოთარ გაბელიაა. მას კი ნიჭიერთა გამორჩევა არ გაუჭირდება.

...ზურა, ბავშვობაში ფიზიკურად მეტად სუსტი ყოფილა და მამამ, გია ბათიაშვილმა, ცოტა მოღონიერდესო, ცურვაზე მიიყვანა. პირველივე მეცადინეობის შემდეგ სიცხემ 39 გრადუსამდე აუწია, მაგრამ ფიზიკურად სუსტი სულით ძლიერი გამოდგა, ამას არ შეუშინდა, პირიქით, ცურვასთან ერთად ფეხბურთზე სიარულიც მოინდომა. ბავშვობიდანვე დარწმუნებული ყოფილა, დიდი მეკარე გავხდებიო. მშობლებიც ხელს უწყობდნენ. დედა, ქალბატონი იზა, მის ვარჯიშს არ აცდენდა და ამის გამო ბათიაშვილის ბავშვობის მწვრთნელმა გრიგოლ გაგუამ „ქალთა ფეოლად" მონათლა. ზურას სხვა მხრივაც გაუმართლა — ჩვენში, ბავშვთა საფეხბურთო სკოლების გაჭირვებიდან გამომდინარე, ძირითადად მეკარეებს საკუთარი მწვრთნელები არ ჰყავთ. ზურას კი ყველგან ასეთი ფუფუნება ჰქონდა, შრომა არ ეზარებოდა და ნელ-ნელა გაიზარდა კიდეც.

მიუხედავად მცირე ასაკისა, ზურაბ ბათიაშვილი უკვე მრავალ ტურნირსა და ოფიციალურ შეხვედრაში მონაწილეობდა. მათგან გამორჩეულად ორი შეხვედრა ახსოვს: პირველი, წელს ზაფხულში პორტუგალიაში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეების ფინალში ლიტვასთან გამარჯვება. (მაშინ ზურას მოგერიებული 2 პენალტით საქართველოს ნაკრები ჩემპიონი გახდა), მეორე კი თბილისში საბერძნეთის ნაკრებთან თამაში გახლავთ, როცა. ბევრჯერ იხსნა თავისიანები, თანაც 30 ათასი მაყურებლის წინაშე პირველად გამოვიდა.

ეს ყოველივე ნიჭიერ მეკარეს არ აყოყოჩებს, გრძნობს, რომ კიდევ მრავალი ნაკლი აქვს და ცდილობს, გამოასწოროს. მათგან უპირველესად თამაშის კარნახს მიიჩნევს, რასაც სთხოვენ და რის გამოც საყვედურობენ კიდეც მწვრთნელები.



ბადრი ძიძიშვილის ფოტო

„სამტრედიასთან" გავარდნას გადარჩენილი ბათიაშვილი

სიტყვის გამტეხი მენეჯერების გადამკიდე, ძალიან განიცდის „ეინდჰოვენის" მიღმა რომ დარჩა. არადა, შარშან შემოდგომაზე ჰოლანდიელთა გუნდში ემზადებოდა, მოეწონათ კიდეც. ოთხ-ხუთჯერ ძირითად გუნდშიც ავარჯიშეს და მის მენეჯერსაც ესაუბრნენ, მაგრამ ამათ უცებ მოინდომეს გამდიდრება, ზურას კი კაპიკებს უტოვებდნენ. გულნატკენი გამოემგზავრა ნიდერლანდებიდან. თუმცა, შემდეგაც არ მოჰკლებია უცხოელთა ყურადღება — პორტუგალიაში ნაკრების გამარჯვების შემდეგ მისით „ბენფიკა" და „პორტუ" დაინტერესდნენ. ეს ნაღდია, მაგრამ რატომ აღარ გაგრძელდა მოლაპარაკება, ვეღარ გეტყვით. ზურამ ისიც თქვა, რომ მასთან შერცხვენილი მენეჯერები კვლავ შეეცადნენ ურთიერთობის აღდგენას.

ნიჭიერ, თავმდაბალ მეკარეს მომავლის დიდი იმედი აქვს. იმედია, ავანსად გაცემული სიტყვებიც არ აწყენს, პირიქით, სტიმულს მისცემს, საქართველოს ნაკრები კი მალე საიმედო მეკარეს შეიძენს. თუმცა, მანამდე ახალგაზრდული ნაკრებია...

**მერაბ მამულაშვილი**

## ფეხბურთის რუკასთან



**გერმანიის** „ვერდერი" იუგოსლაველ ვანია გრუბაჩის შეძენას აპირებს. თავდამსხმელი ბელგრადის ოფკ-ში თამაშობს და ბრემენელები ერთ-ერთ ამხანაგურ მატჩში ერთობ გაუწვალებია. ამიტომაც გადაუწყვეტიათ გერმანელებს მისი შეძენა. გრუბაჩს „ფეიენოორდი" და „ვოლფსბურგიც" ეკურკურებოდა, მაგრამ „ვერდერმა" იმარჯვა. არაა გამორიცხული, „ეინდჰოვენმა" გრუბაჩის თანაკლუბელი, იუგოსლავიის ახალგაზრდული ნაკრების წევრი, მიხაილ პიანოვიჩი შეიძინოს.

**პორტუგალიის** ჩემპიონატში ლისაბონის „ბენფიკამ" 4:0 სძლია „ვარზიმს". ანგარიშში ალოგიკური თითქოს არაფერია, წესით და რიგით ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ საკვირველი ისაა, რომ ლისაბონელთა ოთხივე გოლი მეორე ტაიმში გაიტანა ჩვენთვის ჯერ კიდევ „ბოავიშტადან" კარგად ნაცნობმა ნუნუ გომეშმა.

**ინგლისის** „ტოტენჰემმა" ერთი თვის წინ „შეფილდ უენსდეიდან" განთავისუფლებული მწვრთნელი დევიდ პლიტი კლუბში ფეხბურთის დირექტორად დანიშნა. იგი ადრე უკვე მუშაობდა „ტოტენჰემში", მაგრამ 1987 წელს პირადი მიზეზების გამო კლუბიდან წასვლა მოუხდა.

**ბრაზილიის** ჩემპიონატში იმარჯვა „ვასკუ და გამამ", რომელმაც პირველობა მხოლოდ მესამედ მოიპოვა. ორთვე ფინალური მატჩი „პალმეირასთან" ფრედ 0:0 დასრულდა, მაგრამ ჩემპიონატში უკეთესი შედეგების გამო პირველი ადგილი „ვასკუ და გამას" მიეკუთვნა.

**ინგლისის** ნაკრების საუკეთესო ბომბარდირ გარი ლინეკერს ამ დღეებში „ტოტენჰემის" ყოფილი მწვრთნელ ჯერი ფრენსისთან სიტყვიერი შეხლა-შემოხლა მოუხდა. ლინეკერმა მწვრთნელს ბრალად დასდო, კარგ ფეხბურთელებს არ ყიდულობდიო, მაგრამ ფრენსისის უცაბედ პასუხს რომ წააწყდა, გაჩუმება ამჯობინა.

**ესპანეთის** საუკეთესო ფეხბურთელად ქვეყნის წამყვანმა საფეხბურთო ჟურნალ-გაზეთებმა მადრიდის „რეალის" 20 წლის თავდამსხმელი რაული დაასახელეს. რაული გამოკითხულთა ნახევარმა პირველ ადგილზე გაიყვანა. მეორე ადგილზე გავიდა რაულის თანაკლუბელი ფერნანდო იერო, ხოლო მესამეზე — „ბარსელონას" ფორვარდი ლუის ენრიკე. ყველაზე იმედისმომცემ ფეხბურთელად ხოსე მარი რომერო დაასახელეს. საუკეთესო მწვრთნელად ლორენცო სერა ფერერი აღიარეს, რომელმაც „ბეტისი" თასის ფინალში გაიყვანა. დაჯილდოვდა საუკეთესო პრეზიდენტიც — იგაა ბილბაოს „ატლეტიკის" პრეზიდენტი ხოსე მარია არატე.

**არგენტინის** „აპერტურას" ჩემპიონატი ზედიზედ მესამედ მოიგო „რივერ პლეიტმა", რომელმაც ფრედ 1:1 ითამაშა „არგენტინოს ხუნიორსთან". ეს პირველობისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

**ბელგიის** ჩემპიონატში განცდილი მორიგი მარცხის შემდეგ თასების თასის 1993 წლის ფინალისტი „ანტვერპენი" ბოლო ადგილზე მყარად დამკვიდრდა. ბოლო ტურში „ჟერმინალ ეკერენთან" 0:2 წაგებული მატჩის შემდეგ სხვაობა უახლოეს აუტსაიდერთან 6 ქულა გახდა. „ანტვერპენის" ხელმძღვანელობამ მარცხის შემდგომ გუნდში ძირფესვიანი ცვლილებების გატარება განიზრახა. ეს საჭიროცაა: ჩემპიონატის 17 მატჩიდან გუნდმა 13 წააგო.

**ჩილეს** ჩემპიონობა ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა „კოლო-კოლომ" მოიგო. კვირას ჩემპიონატის ფინალურ მატჩში მათ პროვინციული „ტემუკო" გაანადგურეს 4:0. ბურთები ვერგარამ, ტაპიამ, ნეირამ და სიერამ შეჰყარეს.

**გერმანელი** ნახევარმცველი კრისტიან ნერლინგერი სეზონის ბოლოს მიუნხენის „ბაირნს" დატოვებს და დორტმუნდის „ბორუსიას" შეუერთდება. ამის შესახებ 24 წლის ნიჭიერმა ფეხბურთელმა შაბათს საღამოს განაცხადა. მას არაფერი უთქვამს გარიგების დეტალების შესახებ, თუმცა ის, რომ „დორტმუნდი" მის სანაცვლოდ არაფერსაც არ გადაიხდის, აქედანვე ცნობილია — წლის ბოლოს ხომ ნერლინგერის მიუნხენურ კონტრაქტს ვადა გაუდის. „მთავარი მიზეზი, რამაც ეს გადაწყვეტილება მიმაღებინა, ისაა, რომ დორტმუნდში რაღაც პერსპექტივა მაინც მექნება. საქმე მხოლოდ ფული რომ იყოს, უცხოეთში წავიდოდი, მით უფრო, რომ სარფიანი წინადადებაც საკმაოდ მქონდა, მაგალითად, „იუვენტუსიდან" და „პარმადან" — თქვა ნერლინგერმა. თუკი მას „დორტმუნდთან" სამომავლო პერსპექტივები აკავშირებს, მამამისს, ჰელმუტს ეს კლუბი ტკბილ მოგონებებს აღუძრავს — თურმე ამ დამსახურებულ კაცს 1966-79 წლებში დორტმუნდელთა რიგებში 360 შეხვედრა ჩაუტარებია.

**ალბანეთის** ჩემპიონატი. მე-16 ტური: შკიპონია — ტომორი 4:0, პარტიზანი — ფლამურტარი 8:3, ლაჩი — ოლიმპიკი 1:0, ლუშნია — აპოლონია 0:0, ბესა — ბილიში 4:1, სოპოტი — ტირანა 0:0, ვლაჟნია — სკენდერბეგ 2:0, ტეუტა — შკუმბინი 2:1, ელბასანი — ალბპეტროლი 1:0. 34 ქულით პირველ ადგილზეა „პარტიზანი". ამდენივე ქულით და ბურთების უარესი შეფარდებით მეორე საფეხური უჭირავს „ვლაჟნიას".

**კვიპროსის** ჩემპიონატის მე-12 ტური. აპოლონი — ანორთოსისი 1:1, ომონია — ენოსისი 2:0, აეკი (ლარნაკა) — ეთნიკოსი (აშნა) 0:1, ანაგენისისი — აპოელი 1:1, სალამინა — აელი 1:3, ევაგორასი — აპოპი 1:0, ეთნიკოსი (ასშა) — ალკი 2:0. 29 ქულით ლიდერობს ანორთოსისი, მას ერთი ქულით ჩამორჩება ომონია.

**იუგოსლავიის** გამოტოვებული თამაში. მლადოსტი — ბუდუჩნოსტი 1:0, ამით პირველი წრე დამთავრდა, რომელსაც 42 ქულით ლიდერობს ობილიჩი, 41 ქულით მეორეა ცრვენა ზვეზდა, პარტიზანი 39 ქულით მესამე ადგილზეა.

## ბენდელა ლეგიონერებმაც დააფასეს

დღეს სპორტის სასახლეში აფხაზეთში ტრაგიკულად დაღუპული ზაზა ბენდელიანის მემორიალი დაიწყო, რომელშიც ძალას მოსინჯავენ საშობაო არდადეგებზე შინ დაბრუნებული ჩვენი ლეგიონერები, საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებთა წევრები, ყაველაშვილი, ჯამარაული, ნემსაძე, იაშვილი, ლობჟანიძე, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, მუჯირი, კალაძე, დემეტრაძე და სხვანი.

გინახავთ ოდესმე, ერთმანეთს შერკინებოდნენ ქართველი პროფესიონალები და მოყვარულები? „ბენდელას" თასი ამის მშვენიერ საშუალებას გაძლევთ. ჯერ მხოლოდ ჯგუფური შეხვედრები დაიწყო, მაგრამ სენსაცია უკვე მოხდა, უსწრაფესი და ულამაზესი გოლებიც გავიდა.

ა ჯგუფში „ავიახაზებთან" ნორჩ დინამოელთა 3:0 გამარჯვება არავის გაკვირვებია. აი, მეორე შეხვედრა კი სენსაციურად დასრულდა: ლეგიონერებით (იაშვილი, კერძევაძე) გაძლიერებულმა დინამოელებმა (კობიაშვილი, კალაძე, მუჯირი, ალექსიძე, ცქიტიშვილი) „ნაძალადევს" ვერაფერი მოუხერხეს (1:3). მათი ჯიგრიანი მშვიდი და თავდადებული ბრძოლა მაყურებელთა ოვაციას ხშირად იმსახურებდა. განსაკუთრებით მათმა მეკარე ჩაჩიბაიამ ივაჟკაცა, ცქიტიშვილის პენალტის გარდა უამრავი უძნელესი დარტყმა მოიგერია.

ბ ჯგუფში ოთარ კორღალიძემ ახალგაზრდობა გაიხსენა და არმიელებს „ქართული ბანკის" ანგარიშზე დადებითი ბალანსი დაუსვა. ლეგიონერებმა კი (გრიშიკაშვილი, ნემსაძე, ყაველაშვილი, ლობჟანიძე და მათი საძმო) „სამთავრობო დაცვის" საიმედოობაში ეჭვი შეიტანეს. მათთვის მეკარე გვენცაძეს რომ არ ეშველა, ანგარიში ასტრონომიული იქნებოდა. ამ შეხვედრაში გავიდა დღეისთვის ყველაზე სწრაფი და ლამაზი გოლებიც: მე-4 წამზე ყაველაშვილმა ბურთთან შეხება ბადის პირველი შერხევით დაასრულა, ლეგიონერებს შემატებულმა ენუქიძემ კი ქუსლით მეტად ეფექტური გოლი მიითვალა.

გ ჯგუფში მინი-ფეხბურთის ნაკრებს „ქვემო ქედის" 8:1 ძლევა არ გასჭირვებიათ. „ბენდელამაც" (ჯანელიძე, ქორიძე, დემეტრაძე, პეტრიაშვილი, სოლოღაშვილი) პირველი გამარჯვება 6:2 TBC-ბანკთან ზედმეტი ნერვიულობის გარეშე იზეიმა. ესენი ანჩაბაძით გაძლიერებას და ორი წლის შემდეგ ბენდელას თასის დაბრუნებასაც აპირებენ.

## ტყავაძე საბერძნეთს უმიზნებს

თურქმენეთის ნაკრებსა და ბოლნისის „სიონში" ნათამაშევ ბუბა ტყავაძეს კვლავ გაუჩნდა უცხოეთში წასვლის პერსპექტივა — როგორც შევიტყვეთ, მისით საბერძნეთის უმაღლესი დივიზიონის „პანახაიკი" დააინტერესეს და ტყავაძეც დღეს საბერძნეთში გამგზავრებას აპირებს გუნდთან პირობებზე მოსალაპარაკებლად.

## პეტრიაშვილი დინამოს მოსურვებია

თბილისის „მორკინალის" დირექტორთა საბჭოს წევრ ჯონი გიგანის თქმით, მათი გუნდისა და ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშე დავით პეტრიაშვილით ქვეყნის უცვლელი ჩემპიონი „დინამო" დაინტერესებულა. ამ საკითხზე გუნდების თავკაცებს მოლაპარაკებაც გაუმართავთ.

## ქართული ტრიო შლიონსკში

პოლონეთის I დივიზიონის დასავლეთ ზონის ლიდერ ვროცლავის „შლიონსკს" კვლავ უმაღლესთა შორის დაბრუნება გადაუწყვეტია. მიზნისკენ სასურველი ტემპითა და შედეგებით დაიძრა და ამჟამად ზონას ლიდერობს. ჩვენთვის საინტერესო კი ის გახლავთ, რომ ვროცლავში ქართული ტრიოც გამოჩნდა — მორკინალელები გურამ ასპინძელაშვილი, ზურაბ ქოიავა და ოდიშელი ირაკლი ბარქაია. მათი გადასვლის ხელშემწყობი ზუგდიდელთა პრეზიდენტი ვახტანგ ნანავა ყოფილა.

## წილისყრამ პატარები დაინდო

### კოპალეიშვილს კი ისევ დიდი გარჯა მოუწევს

UNDER-16 Championship

UNDER-18 Championship

შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას ოფისში, ხუთშაბათს ევროპის ჩემპიონატის წილისყრა გაიმართა. წილი 16 და 18 წლამდელთა გუნდებს ეყარათ, რომლებიც შესაბამისად 15 და 14 ჯგუფად დალაგდნენ.

უმცროსებს ბედმა მეტად გაუღიმათ, ოთხგუნდიან მეხუთე ჯგუფში მეტოქედ ავსტრია, საბერძნეთი და აზერბაიჯანი ერგოთ. სამაგიეროდ, ტოლძალოვან და რთულ მეთორმეტე ჯგუფში მოხვდნენ თვრამეტწლამდელები, ძველ ნაცნობ ბულგარეთთან და უნგრეთთან ერთად.

თექვსმეტწლამდელთა შესარჩევი ტურნირის კალენდარი 1998 წლის 10 მარტამდე უნდა შედგეს, ორი წლით უფროსებისა კი — 1998 წლის 30 ნოემბრამდე.

პატარების ფინალურ ეტაპს ჯგუფების გამარჯვებულებს შემატებული ჩეხეთი უმასპინძლებს, დიდებისას კი — ფლეი-ოფის 7 მოგებულს დამატებული შვედეთი. თვრამეტწლამდელთა 14 გამარჯვებული მომდევნო ან წინა ჯგუფის მოგებულს ეწყვილება და ამ შვიდ მონაწილეს გაარკვევს. საქართველო პირველობის შემთხვევაში სომხეთს, ჩეხეთსა და უკრაინას შორის მოგებულს ეთამაშება.

## მსაჯებს სცემენ

გუშინ ესპანელი მსაჯები ისევ შეტევის ობიექტებად იქცნენ, არადა სულ ორი კვირა გავიდა მას მერე, რაც გაფიცვით იმუქრებოდნენ. თავის საყვარელ თემაზე კვლავ მადრიდის „ატლეტიკოს" პრეზიდენტმა, არბიტრთა რისხვამ ხესუს ხილი ხილმა წამოიწყო საუბარი. ამჯერად მან „ბარსელონა" — „ატლეტიკოს" მატჩის მსაჯი მიგელ პერეს ლასა შერისხა.

— მეტი აღარ შემიძლია. ვფიქრობ, მას და „ბარსელონას" მოლაპარაკებული ჰქონდათ, რომ ჩვენს კარში გოლები მეორე ტაიმში უნდა გასულიყო — თქვა ესპანეთის ტელევიზიით გამოსვლისას.

მსაჯებზე განრისხებული გახლდათ „რეალის" პრეზიდენტი ლორენსო სანსიც.

— მსაჯებს ნიჭი და პიროვნული ღირსება აკლიათ — თქვა მან.

აღშფოთება მხოლოდ ძლიერთა წარმომადგენლებს როდი გამოუხატავთ. „ოვიედოს" თავკაცმა ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესმა გააკრიტიკა არბიტრი, რომელმაც მისი გუნდისა და „სელტას" თამაში განსაჯა. ეს შეხვედრა „სელტამ" 3:0 მოიგო. ახლა ჯერი მსაჯთა ასოციაციაზეა. საინტერესოა, რა სახის პროტესტს გამოიწვევს მის წევრთა კრიტიკის ახალი ტალღა.

ნაწილობრივი კომპენსაცია ის გახლდათ, რომ დეკემბრის დასაწყისში ესპანელ მსაჯებს ჯამაგირი გაეზარდათ. ახლა ისინი ერთი თამაშის მომსახურეობაში 1034 დოლარის შესაბამის 150 ათას პესეტას იღებენ.

გასამრჯელოს ასეთი მომატების შემდეგ, უეფას განცხადების თანახმად, ესპანეთი გახდა მსაჯთა ანაზღაურებით გერმანიის შემდეგ მეორე ევროპული ქვეყანა, თუმცა, იმავე ესპანეთში, ქვედა ლიგელ არბიტრებს ერთიორად ნაკლებს უხდიან.

სწორედ იქ ქვედა ლიგებში, კვირას დიდი აყალმაყალი გაიმართა. მადრიდის „ატლეტიკო B"-სა და „ალბასეტეს" შეხვედრაში მსაჯს სავსე ბოთლი მოარტყეს თავში. ეს მეორე დივიზიონში, მეოთხეში კი „პეგოსისა" და „სანტა ანას" მატჩში, აქაოდა, ჩვენს ფეხბურთელს მოედნიდან გაძევება როგორ გაუბედეო, თანამსაჯს ქვები დაუშინეს. მესამე დივიზიონში „პუერტა ბონიტა" „მოსკადოს" რომ ხვდებოდა, ვიღაც, ტრიბუნიდან ჩამომხტარმა არბიტრს მუცელში წიხლი ჩაარტყა.

ყველაზე უარესი კი კვლავ მესამე დივიზიონში „ნოგელდა" — „განდიას" შეხვედრაში მოხდა, თანამსაჯს პატარა სკამი გაარტყეს თავში. მან გონება დაკარგა და საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც საექიმო ჩარევამ უშველა.

# ისტორიული შაბათ-კვირა

## ინგლისი

### XIX ტური

### ნიუკასლი 0:1 მენჩესტერი

**ნიუკასლი:** ჰისლოპი, უოტსონი, ბერესფორდი (ქეცბაია 75), პიკოკი, პირსი, პისტონე, ალბერი (ბარტონი 33), ბეტი, ბარნსი, გილესპი, ასპრილია
**მანჩესტერი:** შმაიხელი, გ. ნევილი, იონსენი, ფ. ნევილი, პალისტერი, ბექემი, ბათი, გიგზი, სქოულზი (სოლსკიაერი 72), კოული, შერინგემი (მაკლეირი 83)
**0:1 კოული (66)**

გამარჯვება, რომელიც ასე სწყუროდათ მანჩესტერელებს. მოგება, რომელსაც თითქმის წელიწადი ითხოვდნენ „იუნაიტედის" გულშემატკივრები. კვირას მოგებულ შეხვედრას შარშან შემოდგომიდან მოყოლებული ელოდნენ „ალისფერთა" გულშემატკივრები და ბოლოს მათი ოცნება ახდა — „მანჩესტერ იუნაიტედმა" „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" მასპინძლები დაამარცხა. რაკი ნიუკასლელთა სტადიონი ვახსენე, ბარემ აქვე დავძენ, რომ კლუბი 90 მილიონ დოლარად, ახალი 55 ათასიანი სტადიონის აგებას აპირებს.

შარშანდელი წყენა ჯერაც ვერ მოეშუშებინა „იუნაიტედს". მაშინ, გასული წლის ოქტომბერ-ნოემბერში, მანჩესტერელებს საშინელი კრიზისი ჰქონდათ და სწორედ ამ პერიოდში გაანადგურეს ჩრდილოინგლისელებმა სტუმრები 5:0. იმ სახელოვანი გამარჯვების მიუხედავად, „ნიუკასლი" მაინც მეორე ადგილზე აღმოჩნდა. ჩემპიონობა კი ბოლო ხუთ წელიწადში მეოთხედ ფერგიუსონის გუნდმა მოიპოვა. ამ სეზონსაც ისეთი პირი უჩანს, „მანჩესტერის" გარდა პირველ ადგილზე გასვლა სხვა გუნდს გაუჭირდება. თუმცა, ვინ იცის?

...დაახლოებით ერთი საათით ადრე სტადიონი თითქმის სავსე იყო. „ჯორდების" ფანები შეთხზულ ჰიმნებს ამღერებდნენ. დიდ მატჩებს რომ შეშვენის, სწორედ ისეთი განწყობა სუფევდა სტადიონზე, თუმცა გაივლის საათნახევარი და „ნიუკასლის" უკლებლივ ყველა მხარდამჭერი გულგატეხილი წავა. მიზეზი, ცხადია, საყვარელი გუნდის წაგებაა, რომელსაც მარტო სამი ქულა კი არა, ჩემპიონობაზე ოცნებაც თან გაჰყვა. ახლა ლიდერსა და „ნიუკასლს" შორის სხვაობა 17 ქულაა, ამის შევსებას კი მარტო კარგი თამაში კი არა, საკმაო იღბალიც სჭირდება.

შეხვედრა სწრაფ ტემპში დაიწყო და მატჩის პირველმა ნახევარმა უკვე ნათლად წარმოაჩინა მეტოქის მნიშვნელობა. იგივე „ბარნსლისთან" და „ბოლტონთან" კენი დალგლიშის გუნდი ასე გიჟურად ნაღდად არ ითამაშებდა, მაგრამ რადგან მოწინააღმდეგე „იუნაიტედი" იყო, მასპინძლებმა თავი დადეს მოსაგებად, ოღონდ არ გაუმართლათ. საერთოდ ინგლისში სწრაფი თამაშით ვერავის გააკვირვებ, მაგრამ „სენტ ჯეიმსზე" ისეთი თამაში მიდიოდა, თვალის მიდევნებას ვერ მოასწრებდა კაცი.

როცა შესვენების შემდეგ ტურის ცენტრალური მატჩი განახლდა, ნელ-ნელა „მანჩესტერის" უპირატესობა გამოიკვეთა და ცხადი გახდა, ჰისლოპის კარის ბადე უნდა შერხეულიყო. უოტსონმა და მომჯობინებულმა ბერესფორდმა შეცდომებს უმატეს, ბებერ პირსს და ბარნსს დაღლა დაეტყოთ, ამ დროს კი მეტოქე, თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნაო, უფრო გამალებით უტევდა. მალე გოლიც გავიდა — ენდი კოულმა მშობლიური „ნიუკასლი" არად ჩააგდო და მასპინძლებს ლახვარი ჩასცა. მისი გოლი, როგორც მერე გაირკვა, ერთადერთი გამოდგა, ამასთანავე სამი ქულის მომტანიც. მალე დალგლიშმა ქეცბაიაც ათამაშა, თუმცა, თემურიმ ერთი ძლიერი დარტყმის გარდა ვერაფერი მოახერხა — ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

...ამ სეზონში „ნიუკასლს" თითქმის ყველა პრინციპულ მატჩში მოეცარა ხელი: „ჩელსისთან" სტუმრად, „ბლექბერნთან" შინ, „არსენალთანაც" შინ და ახლა „მანჩესტერ იუნაიტედთან". სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია.

### შეფილდი 1:4 ჩელსი

**შეფილდი:** პრესმენი, ნოლანი, პემბრიჯი, ნიუსომი, უოლკერი, უითინგემი (ალექსანდერსონი 59), ბუთი, დი კანიო (კარბონე 68), კოლინზი (ჰაიდი 59), სტეფანოვიჩი, რუდი
**ჩელსი:** დე გუი, პეტრესკუ, ლებეფი, დაბერი, ლე სო, დი მატეო, სინკლერი (კლარკი 77), ნიკოლსი, უაიზი, ძოლა (ფლო 68), ვიალი
**0:1 პეტრესკუ (30), 0:2 ვიალი (56), 0:3 ლებეფი (653), 1:3 პემბრიჯი (71), 1:4 ფლო (84)**

თავის დროზე დიდი „მილანის" თავკაცმა არიგო საკიმ თქვა, ჩემს გუნდში ოთხი ფეხბურთელია, რომელთაც მწვერთნელობა ძალუძთო. მან მარკო ვან ბასტენი, მაურო ტასოტი, რუდ გულიტი და კარლო ანჩელოტი დაასახელა. გავიდა დრო და საკის წინასწარმეტყველება ახდა — ანჩელოტის „პარმა" იტალიის ერთ-ერთ უძლიერესი გუნდია, გულიტის „ჩელსი" კი, თავის მხრივ ინგლისში ქმნის ამინდს.

მწვრთნელობა მწვრთნელობად, მაგრამ ევროპის 1987 წლის საუკეთესო ფეხბურთელი დიდი უცნაური ვინმეა. ხან რა მოეპრიანება, ხან კიდევ რა, მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ მის ახირებებს „ჩელსისთვის" ჯერ ზიანი არ მოუტანია, პირიქით, გუნდი ნელ-ნელა ძლიერდება და ინგლისურ კლუბთა შორის ყველაზე ლამაზი თამაშითაც გამოირჩევა. ხდება ხოლმე, ფეხბურთელი ზედიზედ რამდენიმე შეხვედრას ძლიერად ატარებს, მაგრამ მომდევნო მატჩში გულიტს იგი შეცვლაზე შეჰყავს, ანაც სულ არ ათამაშებს. მაგალითად, ტორე ანდრე ფლო — მან ბოლო მატჩებში ოთხი გოლი შეაგდო, ახლა კი შეცვლაზე გამოვიდა. ნორვეგიელის მაგივრად კი ჯანლუკა ვიალიმ ითამაშა, რომელსაც ბოლო სამი თვის მანძილზე „ჩელსის" ძირითადში მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩაეტარებინა. და მაინც, ჰოლანდიელის ნააზრევმა გაამართლა — ვიალიმ მარტომ მოუგო „შეფილდ უენსდეის", ფლომ კი შეცვლაზე შესულმაც შეაგდო. ერთადერთი მოულოდნელობა ის გახლდათ, რომ ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელმა, ძოლამ ვერ ითამაშა რიგიანად.


REUTERS შეფილდიდან
შეფილდი — ჩელსი. ამ სეზონში ვიალი იშვიათად თამაშობს, მაგრამ ყველა შეხვედრაში ბრწყინავს

შეხვედრის მესამე წუთი: ნიუსომის უხეში შეცდომა და ძოლა პრესმენთან პირისპირ რჩება. შედეგი — გაფუჭებული საგოლე მომენტი. მეთხუთმეტე წუთი: ძოლა და ვიალი ნოლანისა და მეკარის წინააღმდეგ, მაგრამ ჩია იტალიელი კარგ პოზიციაში მყოფ ვიალის ვერ ან არ ამჩნევს და კვლავ უგოლობა. პირველი ტაიმის მიწურული: ძოლა კვლავ ძუნწობს და ვიალის მეტად ხეირიან მდგომარეობას აკარგვინებს. ლიდერმა საქმე კი გააფუჭა, მაგრამ „არისტოკრატებმა" მაინც ძლიერად ითამაშეს და დამაჯერებლად გაიმარჯვეს — ვიალის სამი აშკარა პენალტიდან მხოლოდ ერთი დაუნიშნეს, ერთიც ფლოს გაატანინა, თავადაც შეაგდო და პეტრესკუს გოლშიც დი მატეოსთან ერთად მონაწილეობდა.

მოკლედ, „ჩელსი" უმოწყალო იყო. მომავალი ჩემპიონის ვინაობაც კვლავ თავსატეხად დარჩა. ისე, ლონდონელებმა ოთხი გოლი კი გაიტანეს, მაგრამ პემბრიჯის ერთადერთი საპასუხო ბურთი აშკარად ყველას სჯობდა — მან დაახლოებით 25 მეტრიდან წინ გამოსულ დე გუის ბურთი თავზე გადაუგდო და მარცხენა „ცხრიანში" გაახვია.

### ლივერპული 1:0 ქოვენთრი

**ლივერპული:** ჯეიმსი, კვარმე, მაკატირი, ლეონარდსენი, კარაგერი, მატეო, ჰარკნესი, მაკმანამანი, ოუენი, რედნაპი, ფაულერი
**ქოვენთრი:** ჰედმანი, შოუ, ჰაკერბი, ვილანი, ტელფერი, სოლტვედტი (სტრაჩანი 82), ბოატენგი, ჰალი, ჰავორსი (დაკროსი 85), ნილსონი, დაბლინი
**1:0 ოუენი (14)**

ზედიზედ ორი საშინაო მარცხის შემდეგ ლივერპულელებმა, როგორც იქნა, იმარჯვეს, თუმცა 18 წლის მაიკლ ოუენი რომ არ ყოფილიყო, ამას ვერ ეღირსებოდნენ. მასპინძელთა იმედმა. ეს მოსაწყენი მატჩი, რომლის ერთადერთ სახიფათო მომენტზეც ზემოთ ვთქვით, იმით იყო აღსანიშნავი, რომ „ლივერპულის" მეკარე დევიდ ჯეიმსმა პრემიერლიგაში ზედიზედ მე-200-ედ ითამაშა, სტუმართა რიგებში კი დებიუტი ჰქონდა ჰოლანდიის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანს, „ფეიენოორდიდან" შეძენილ ჯორჯ ბოატენგს.

### ტოტენჰემი 3:0 ბარნსლი

**ტოტენჰემი:** უოქერი, კალდერვუდი, ფოქსი, ნილსენი, კარი, უილსონი, სინტონი, კემპბელი, ჟინოლა (კლემენსი 88), ანდერტონი (დომინგუში 70), ფერდინანდი (ივერსენი 46)
**ბარნსლი:** ლისი, იდენი, ეპლიბი, მოუზისი, დე ზიუ, ლიდელი (ხრისტოვი 67), ტინკლერი, ბერნარდი, უორდი, მარკშტედი (ბალოკი 46), რედფერნი
**1:0 ნილსენი (6), 2:0, 3:0 ჟინოლა (12, 18)**

ასე ადვილად „ტოტენჰემს" ამ სეზონში ჯერ არ მოუგია. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს „ბარნსლი" იმიტომ ჩავიდა ლონდონში, გათვალისწინებული შეხვედრა არ ჩაშლილიყო, თორემ სტუმრებს „უაით ჰართ ლეინზე" სხვა არაფერი ესაქმებოდაო.

სხვათა შორის, სტუმართა ოცი წლის მცველი დინ ჯონსი, რომელსაც ჩემპიონატში ჯერ არ უთამაშია, პრემიერლიგის პირველი ფეხბურთელია, რომელიც დოპინგ კონტროლზე ჩავარდა. ფეხბურთის ასოციაციამ მას სამთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

### ბლექბერნი 3:0 ვესტ ჰემი

**ბლექბერნი:** ფლაუერსი, კენა, შერვუდი, ჰენდრი, რიპლი (ფლიტკროფტი 73), უილკოქსი, მაკინლი, კროფტი, ენჩოსი, დაფი (ბოჰინენი 77), გალაჰერი (ბიტი 84)
**ვესტ ჰემი:** ფორესტი, ანსუორსი, კიტსონი (აბუ 84), ლომასი, როულენდი, ფერდინანდი, ლემპარდი, პირსი, იმპი, ბერკოვიჩი, ჰარტსონი
**1:0 რიპლი (22), 2:0, 3:0 დაფი (51, 72)**

დიდი უცნაური გუნდია „ვესტ ჰემი" — შინ ნებისმიერ მეტოქეს ერთნაირად ეომება, სტუმრად კი თამაშს შეხვედრამდე აგებს. ამჯერადაც ასე იყო. რამ შეაშინა ლონდონელები, ძნელი გასარკვევია, ფაქტი კი ერთია — როი ჰოჯსონის — „ბლექბერნს" 3:0 მოგება სრულიადაც არ გასჭირვებია. სხვათა შორის, მასპინძლებს გალაჰერი — სატონის მრისხანე წყვილიდან ეს უკანასკნელი აკლდათ დისკვალიფიკაციის გამო, მაგრამ ახალგაზრდა დემიენ დაფის წყალობით გუნდს ძირითადი ფორვარდის არყოფნა არ დასტყობია და „ბლექბერნმა" კვლავ დამსახურებულად გაიმარჯვა.

### ლიდსი 2:0 ბოლტონი

**ლიდსი:** მარტინი, ჰალე, უეზეროლი, მოლენაარი, რობერტსონი, კელი, ჰაალანდი, ჰოფკინი (ბოუერი 79), რიბეირო, უოლესი, ჯიმი
**ბოლტონი:** უორდი, ბერგსონი, ტოდი, ფეირკლაფი, ფილიპსი, იოჰანსენი (კარი 76), პოლოკი, ფრანდსენი, სელარსი, ბერდსლი, ბლეიკი
**1:0 რიბეირო (68), 2:0 ჯიმი (81)**

...68-ე წუთი: პრემიერლიგაში მეორასედ მოთამაშე როდ უოლესმა მეურვეჩამოცილებულ რიბეიროს ჰკიდა თვალი და ამანაც 25 მეტრიდან უორდის კარი დალაშქრა. პორტუგალიის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელის გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა. „ბოლტონის" მიერ აგებული დაცვა წამში დაიმსხვრა და მალე თბილისში, „ბოავიშტას" შემადგენლობაში, ნათამაშევმა ჯიმიმ მეორეც შეაგდო. „ლიდს იუნაიტედმა" ზედიზედ მეშვიდე მატჩი არ წააგო.

### ლესტერი 0:1 ევერტონი

**ლესტერი:** კელერი, კამარკი (უილსონი 76), ჯაპი, პრიორი, ლენონი, სევიჯი, ფენტონი (კლერიჯი 46), ელიოტი, უოლში, ჰესკი, იზეტი
**ევერტონი:** მერი, ბარეტი, შორტი, უოტსონი, ტილერი, ჰინჩლიფი, ოსტერი (ბოლი 90), სპიდი, ფარელი, ბარმბი, კადამარტერი
**0:1 სპიდი (893)**

„ევერტონმა" ამ თამაშამდე სტუმრად წელიწადზე მეტი ხნის წინ რომ მოიგო, ამაზე წინა ნომერში ითქვა, ახლა კი დავამატებთ, რომ ლივერპულელთა თავკაცი ჰოვარდ კენდალი რამდენიმე ხნის წინ ესპანეთში იმყოფებოდა და „ვალენსიას" 2 მილიონ დოლარად გორან ვლაოვიჩს სთხოვდა. სხვათა შორის კენდალს გარდა ვლაოვიჩისა, იან რაიტის, უვე როსლერის, ანაც სტეფან ივერსენის შეძენა მოსურვებია.

### ასტონ ვილა 1:1 საუთჰემპტონი

**ასტონ ვილა:** ოუკსი, ჩარლზი, სტონტონი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, რაიტი, ტეილორი, დრაპერი, გრეისონი (ჰენდრი 67), მილოშევიჩი, კოლიმორი
**საუთჰემპტონი:** ჯოუნსი, დოდი, ბენალი, პალმერი, მონკუ, ლუნდეკვამი, ოუკლი, რიჩარდსონი (ოსტენსტადი 36), დევისი, ჰერსტი, ლე ტისიე
**1:0 ტეილორი (64), 1:1 ოსტენსტადი (72)**

ბირმინგემელებს მეტოქე უეჭველად უნდა დაემარცხებინათ, მაგრამ არ გაუმართლათ. იან ტეილორის გოლიც დაგვიანებული იყო. გაცილებით ადრე უნდა გასულიყო, მაგრამ საცოდაობა ისაა, რომ მასპინძლებმა ლიდერობა ვერ შეინარჩუნეს და ორი ქულა დაკარგეს. ბოლო წამებზე კი ისეთი რამ მოხდა, მილოშევიჩი ძალიან აღელვა — დოდიმ ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი.

### დერბი 0:0 კრ.პალასი

**დერბი:** პოომი, როუეტი, ქ. პაუელი, დ. პაუელი, შტიმაცი, კერსლი, ელიოტი (იატსი 55), ერანიო, ბარტონი (ვილემსი 83), ბაიანო, ვენჩოპი
**კრ.პალასი:** მილერი, გორდონი, რობერტსი, ლინიგენი, უორპერსტი, როჯერი, ბარტონი, პრიდარსონი, ემბლინი, ფაულერტონი, ზოხარი (დაიერი 59)

შეხვედრა საკმაოდ კარგი სანახავი გამოდგა, გოლიც რომ გასულიყო, უფრო დაამშვენებდა, მაგრამ სტუმრებმა დაცვაში ისე ითამაშეს, როგორც არასდროს. „დერბი" თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში უტევდა, მაგრამ სტუმართა 11-კაციან დაცვას ვერაფერი დააკლო.

ლაშა გოდუაძე

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ენდი კოული (მანჩესტერი) | 11 |
| ჯონ ჰარტსონი (ვესტ ჰემი) | 11 |
| კრის სატონი (ბლექბერნი) | 11 |
| ფრანჩესკო ბაიანო (დერბი) | 11 |
| დენის ბერკამპი (არსენალი) | 10 |
| იან რაიტი (არსენალი) | 10 |
| კევინ გალაჰერი (ბლექბერნი) | 9 |
| როდ უოლესი (ლიდსი) | 8 |

### პირველ დივიზიონი

### სიტი 2:0 მიდლსბრო

**სიტი:** რაიტი, ედჯილი, შელია, ბრაუნი, საიმონსი, ვიკენსი, ბრენენი, რასელი, დიკოვი, ქინქლაძე, როსლერი
**1:0 როსლერი (173), 2:0 დიკოვი (32)**

გასული კვირის უქმეები ნამდვილად დარჩება ქართული ფეხბურთის ისტორიაში: ინგლისის პრემიერლიგაში და პირველ დივიზიონში ერთბაშად სამმა ქართველმა ითამაშა. თუმცა, თუ ქეცბაია შეცვლაზე შევიდა, შელიამ და ქინქლაძემ საკმაოდ კარგად ითამაშეს და მორიგი ლიდერის დამარცხებაში ლომის წილი დაიდეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიდლსბრო | 23 | 13 | 6 | 4 | 39:19 | 45 |
| ნოტინგემი | 23 | 13 | 6 | 4 | 37:21 | 45 |
| შეფილდი | 23 | 11 | 9 | 3 | 34:22 | 42 |
| ჩარლტონი | 23 | 12 | 5 | 6 | 43:29 | 41 |
| ვესტ ბრომვიჩი | 23 | 12 | 4 | 7 | 25:21 | 40 |
| სანდერლენდი | 22 | 11 | 6 | 5 | 35:21 | 39 |
| სვინდონი | 23 | 11 | 5 | 7 | 32:31 | 38 |
| ვულვზი | 23 | 10 | 6 | 7 | 29:26 | 36 |
| სტოკპორტი | 23 | 10 | 5 | 8 | 39:32 | 35 |
| ბრედფორდი | 23 | 8 | 9 | 6 | 22:22 | 33 |
| ბირმინგემი | 23 | 8 | 8 | 7 | 24:19 | 32 |
| ქუინზ პარკი | 23 | 8 | 6 | 9 | 28:36 | 30 |
| ნორვიჩი | 23 | 8 | 6 | 9 | 23:32 | 30 |
| იფსვიჩი | 22 | 6 | 9 | 7 | 27:25 | 27 |
| სტოკ სიტი | 23 | 7 | 6 | 10 | 24:30 | 27 |
| ოქსფორდი | 23 | 7 | 5 | 11 | 29:33 | 26 |
| პორტ ვეილი | 23 | 7 | 5 | 11 | 26:30 | 26 |
| რედინგი | 23 | 6 | 7 | 10 | 21:35 | 25 |
| სიტი | 23 | 6 | 6 | 11 | 26:27 | 24 |
| ჰადერსფილდი | 23 | 6 | 5 | 12 | 24:37 | 23 |
| ტრანმერი | 22 | 6 | 4 | 12 | 28:34 | 22 |
| ბერი | 23 | 4 | 10 | 9 | 22:32 | 22 |
| კრიუ | 23 | 6 | 3 | 14 | 26:39 | 21 |
| პორტსმუთი | 22 | 5 | 5 | 12 | 26:36 | 20 |

## საბერძნეთი

მე-15 ტური. პაოკი — ვერია 3:1; ქსანთი — ეთნიკოსი 3:0; პანიონიოსი — კავალა 3:0; ოფი — ათინაიკოსი 1:1; პროდეფტიკი — პანახაიკი 1:0; აპოლონი — ოლიმპიაკოსი 0:5; პანილიაკოსი — ირაკლისი 1:1; პანათინაიკოსი — იონიკოსი 5:1; კალამატა — [illegible] გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 15 | 12 | 1 | 2 | 39:12 | 37 |
| აეკი | 14 | 12 | 1 | 1 | 30:13 | 37 |
| პანათინაიკოსი | 15 | 12 | 0 | 3 | 37:11 | 36 |
| პაოკი | 15 | 9 | 4 | 2 | 31:16 | 31 |
| იონიკოსი | 14 | 10 | 0 | 4 | 27:15 | 30 |
| ირაკლისი | 15 | 7 | 3 | 5 | 19:18 | 24 |
| ოფი | 15 | 7 | 3 | 5 | 23:26 | 24 |
| ქსანთი | 15 | 7 | 2 | 6 | 30:27 | 23 |
| აპოლონი | 15 | 6 | 2 | 7 | 16:19 | 20 |
| პანიონიოსი | 15 | 6 | 1 | 8 | 19:20 | 19 |
| პანილიაკოსი | 15 | 5 | 3 | 7 | 23:27 | 18 |
| პანახაიკი | 15 | 5 | 1 | 9 | 14:27 | 16 |
| პროდეფტიკი | 15 | 4 | 3 | 8 | 13:27 | 15 |
| ვერია | 15 | 4 | 1 | 10 | 17:26 | 13 |
| ეთნიკოსი | 15 | 4 | 1 | 10 | 7:19 | 13 |
| კავალა | 15 | 2 | 3 | 10 | 20:33 | 9 |
| ათინაიკოსი | 15 | 2 | 3 | 10 | 9:24 | 9 |
| კალამატა | 13 | 2 | 2 | 9 | 7:21 | 8 |

## თურქეთი

მე-17 ტური. ბეშიქთაში — დარდანელი 1:2; სამსუნი — ქოჯაელი 1:1; შექერსფორი — ანთალია 2:1; გალათასარაი — ქარაბუქი 3:0; ალთაი — ანკარაგიუჯუ 3:0; ტრაბზონი — ბურსა 1:0; გაზიანთეფი — ვანსფორი 0:0; გენჩლერბირლიგი — ფენერბაჰჩე 3:0; ქაისერი — ისთანბული 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 17 | 12 | 3 | 2 | 33:12 | 39 |
| ტრაბზონი | 17 | 11 | 3 | 3 | 32:17 | 36 |
| გალათასარაი | 17 | 10 | 3 | 4 | 38:22 | 33 |
| ბეშიქთაში | 17 | 8 | 6 | 3 | 34:18 | 30 |
| ისთანბული | 17 | 8 | 6 | 3 | 33:19 | 30 |
| ბურსა | 17 | 8 | 4 | 5 | 25:21 | 28 |
| სამსუნი | 17 | 7 | 4 | 6 | 24:21 | 25 |
| დარდანელი | 17 | 6 | 6 | 5 | 20:16 | 24 |
| ქარაბუქი | 17 | 7 | 3 | 7 | 18:24 | 24 |
| ქოჯაელი | 17 | 6 | 5 | 6 | 22:19 | 23 |
| ანკარაგიუჯუ | 17 | 5 | 5 | 7 | 15:21 | 20 |
| ქაისერი | 17 | 5 | 4 | 8 | 15:23 | 19 |
| გენჩლერბირ. | 17 | 4 | 6 | 7 | 15:16 | 18 |
| გაზიანთეფი | 17 | 4 | 5 | 8 | 19:24 | 17 |
| შექერსფორი | 17 | 4 | 5 | 8 | 18:37 | 17 |
| ალთაი | 17 | 4 | 4 | 9 | 18:30 | 16 |
| ანთალია | 17 | 3 | 5 | 9 | 24:33 | 14 |
| ვანსფორი | 17 | 0 | 5 | 12 | 13:43 | 5 |

## ისრაელი

მე-15 ტური. მაკაბი (ჰერცლია) — ჰაპოელი (ქვარ სავა) 1:1; ჰაპოელი (თელ ავივი) — ჰაპოელი (აშქელონი) 1:0; ჰაპოელი (იერუსალიმი) — ჰაპოელი (ფეთახ თიკვა) 0:1; მაკაბი (ჰაიფა) — ჰაპოელი (ბეერშევა) 2:0; ბნეი იეჰუდა — ირონი (რიშონი) 0:1; ჰაპოელი (ბეით შიანი) — ჰაპოელი (ჰაიფა) 1:1; მაკაბი (ფეთახ თიკვა) — ბეითარი (იერუსალიმი) 0:1; ირონი (აშდოდი) — მაკაბი (თელ ავივი) 1:2

პირველი წრის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეითარი | 15 | 9 | 6 | 0 | 36:16 | 33 |
| ჰ. თელ ავივი | 15 | 9 | 5 | 1 | 15:6 | 32 |
| ჰ. ჰაიფა | 15 | 8 | 5 | 2 | 26:15 | 29 |
| მ. ჰაიფა | 15 | 8 | 3 | 4 | 27:17 | 27 |
| ჰ. ფეთახ თიკვა | 15 | 8 | 3 | 5 | 23:17 | 27 |
| ი. აშდოდი | 15 | 5 | 7 | 3 | 21:19 | 22 |
| ჰ. ქვარ სავა | 15 | 6 | 3 | 6 | 19:20 | 21 |
| ჰ. იერუსალიმი | 15 | 5 | 6 | 4 | 18:19 | 21 |
| მ. ჰერცლია | 15 | 4 | 6 | 5 | 20:19 | 18 |
| ი. რიშონი | 15 | 4 | 5 | 6 | 18:22 | 17 |
| მ. თელ ავივი | 15 | 4 | 4 | 7 | 16:19 | 16 |
| მ. ფეთახ თიკვა | 15 | 3 | 7 | 5 | 10:14 | 16 |
| ჰ. აშქელონი | 15 | 3 | 3 | 9 | 13:24 | 12 |
| ბნეი იეჰუდა | 15 | 2 | 5 | 8 | 12:20 | 11 |
| ჰ. ბეით შიანი | 15 | 2 | 5 | 8 | 13:24 | 11 |
| ჰ. ბეერშევა | 15 | 1 | 5 | 9 | 15:31 | 8 |

## იტალია

### სერია B

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალერნიტანა | 15 | 9 | 6 | 0 | 33:13 | 33 |
| ვენეცია | 15 | 10 | 2 | 3 | 25:11 | 32 |
| კალიარი | 15 | 6 | 7 | 2 | 20:13 | 25 |
| ვერონა | 15 | 7 | 3 | 5 | 22:12 | 24 |
| პერუჯა | 15 | 6 | 5 | 4 | 16:16 | 23 |
| ტორინო | 15 | 6 | 4 | 5 | 23:22 | 22 |
| ტრევიზო | 15 | 5 | 6 | 4 | 18:17 | 21 |
| ფ. ანდრია | 15 | 5 | 5 | 5 | 19:20 | 20 |
| რეჯინა | 15 | 5 | 5 | 5 | 14:15 | 20 |
| კიევო | 15 | 5 | 5 | 5 | 13:17 | 20 |
| ლუკეზე | 15 | 5 | 4 | 6 | 15:17 | 19 |
| რეჯანა | 15 | 5 | 4 | 6 | 11:13 | 19 |
| ანკონა | 15 | 4 | 6 | 5 | 19:21 | 18 |
| პესკარა | 15 | 4 | 5 | 6 | 16:20 | 17 |
| რავენა | 15 | 3 | 6 | 6 | 12:15 | 15 |
| ფოჯა | 15 | 3 | 6 | 6 | 18:23 | 15 |
| მონცა | 15 | 2 | 9 | 4 | 16:22 | 15 |
| დი სანგრო | 15 | 2 | 8 | 5 | 20:27 | 14 |
| ჯენოა | 15 | 4 | 2 | 9 | 19:26 | 14 |
| პადოვა | 15 | 3 | 4 | 8 | 10:19 | 13 |

## იტალია

# სანამ საშობაო სუფრას მიუსხდებოდნენ

### XIII ტური

**ლაციო 4:0 ვიჩენცა**

ლაციო: მარკეჯანი, პანკარო, ნესტა, ნეგრო, ფავალი, ფუზერი, ალმეიდა (ვენტურინი 61), იუგოვიჩი (მარკოლინი 82), მანჩინი (რამბაუდი 83), კაზირაგი, ბოკშიჩი
ვიჩენცა: ბრივიო, სტოვინი, დი კარა, კანალსი, ბეგეტო, სკენარდი (ფირმანი 84), დი კარლო, ამბროზინი, ამბროზეტი (მასპერო 73), ვივიანი, ლუიზო (დი ნაპოლი 85)
1:0 კაზირაგი (6), 2:0 ფუზერი (63), 3:0 ვენტურინი (70), 4:0 ბოკშიჩი (91)
გაფრთხილება: მანჩინი, ბოკშიჩი, დი კარა, ამბროზეტი
გაძევება: სტორინი (47)

**ბარი 0:0 პიაჩენცა**

ბარი: მანჩინი, გარსია, ნექროიზი, დე როსა, მანიგეტი (საცარინი 73), ბრეშანი (ძამბროტა 46), ვოლპი, ინგესონი, ოლივარესი (დოლი 60), ალბაკი, გუერერო
პიაჩენცა: სერენი, პოლონია (დელი კარი 49), ვერხოვოდი, მ. როსი, ტრამეცანი, ბუზო (ბორდინი 73), საკეტი, მაცოლა, შიენძა, დიონიჯი, სტროპა (რასტელი 66)
გაფრთხილება: შიენძა, რასტელი, ნექროიზი

**სამპდორია 6:3 ნაპოლი**

სამპდორია: ფერონი, ბალერი, მანინი (დინგო 78), მიხაილოვიჩი, ჰუგო, ლაილე, ვერონი (სკარკილი 75), ბოლოსიანი, ფრანჩესკეტი, მონტელა, სინიორი (კლინსმანი 55)
ნაპოლი: დი ფუსკო, კრასონი, ბალდინი, აიალა, ფაჩი, როსიტო, გორეტი, ალეგრი, ასანოვიჩი, პროტი, ბელუჩი
0:1 ბელუჩი (15), 1:1 ბოლოსიანი (35), 2:1, 3:1 მონტელა (42, 61), 3:2 პროტი (70), 4:2 კლინსმანი (73), 5:2 ლაილე (77), 5:3 როსიტო (78), 6:3 მონტელა (90პ)
გაფრთხილება: ჰუგო, კრასონი, როსიტო

**უდინეზე 1:0 ინტერი**

უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, კალორი, პიერინი, ჰელვეგი, ჯანიკედა, სტატუტო (ვალემი 74), ბაკინი, პოჯი (ლოკატელი 70), ბირჰოფი, ამოროზო (იორგენსენი 86)
ინტერი: პალიუკა, სარტორი, ბერგომი, გალანტე, ვესტი, ძანეტი, ვინტერი, ზე ელიასი (სამორანო 46), კოე (ბერტი 89), ჯორკაეფი, ბრანკა (კოლონეზე 81)
1:0 ბირჰოფი (91)
გაფრთხილება: ჰელვეგი, ჯანიკედა, გალანტე

**იუვენტუსი 5:2 ემპოლი**

იუვენტუსი: პერუცი (რამპულა 46), ბირინდელი, ფერარა, იულიანო, ტორიჩელი, დი ლივიო (დიმაში 80), ა. კონტე, ზიდანი, დევიდსი, ინძაგი, დელ პიერო (ფონსეკა 77)
ემპოლი: როკატი, ფუსკო, დ. ბალდინი (ბეტელა 79), ბიანკონი, ამეტრანო (კრიბარი 67), პანე, ფიკინი, მარტუშელო, ტონეტო, კ. ესპოზიტო, ფლორიანჩიჩი (ბიზოლი 75)
1:0 ინძაგი (15), 2:0, 3:0 დელ პიერო (16, 27), 3:1 ფლორიანჩიჩი (42), 4:1 დელ პიერო (55), 4:2 კ. ესპოზიტო (74), 5:2 ტონეტო (79ს.კ.)
გაფრთხილება: დ. ბალდინი, ბიანკონი, ფიკინი

**პარმა 2:1 ლეჩე**

პარმა: ბუფონი, მუცი, ტურამი, კანავარო, მილანეზე (ბენარივო 67), სტანიჩი, დ. ბაჯო, ჯუნტი, ბლომკვისტი, კიეზა (კრიპა 85), კრესპო (ფიორე 76)
ლეჩე: ლორიერი, საკიჩი, კიპრიენი, ბარონჩელი, როსინი, მ. როსი (გოვედარიცა 81), მარტინესი, პიანგარელი, კონტიკიო, კასალე (დი ფრანჩესკო 58), ატიელკინი
1:0 დ. ბაჯო (54), 2:0 კიეზა (63), 2:1 მ. როსი (71)
გაფრთხილება: სტანიჩი, საკიჩი, ბარონჩელი

**ბრეშა 1:1 რომა**

ბრეშა: ჩერვონე, ე. ფილიპინი, სავინო, ბია, ადანი, კოზმინსკი (კორადო 55), ა. ფილიპინი, ბანინი, დიანა (დე პაოლა 84), უბნერი, პირლო (ნერი 73)
რომა: კონსელი, კანდელა, პეტრუცი, სერვიდეი, დალ მორო, ვაგნერი (ტომაზი 46), დი ბიაჯო, დი ფრანჩესკო, პაოლო სერჯიო, ბალბო, გაუტიერი (დელვეკიო 46)
1:0 უბნერი (15), 1:1 პაოლო სერჯიო (94)
გაფრთხილება: დიანა, კორადო, კანდელა, ვაგნერი
გაძევება: ე. ფილიპინი (94)

**ფიორენტინა 5:0 ატალანტა**

ფიორენტინა: ტოლდო, ფალკონე, ფირიკანო, პადალინო, სერენა, კოისი, რუი კოშტა (ფლაკი 86), შვარცი, მორფეო (რობიატი 89), ბატისტუტა, ოლივეირა (ბიჯიკა 82)
ატალანტა: პინატო, ფოლიო, სოტილი, კარერა, რუსტიკო, ძენონი (ბოსელი 78), კარბონე, დუნდიერსკი (ძანინი 50), სგრო, გალო (მუტარელი 56), კაჩა
1:0 პადალინო (27), 2:0 სერენა (48), 3:0 ოლივეირა (78), 4:0 ბატისტუტა (85), 5:0 რუსტიკო (90ს.კ.)
გაფრთხილება: სოტილი, რუსტიკო
გაძევება: კარბონე (59)

**მილანი 0:0 ბოლონია**

მილანი: ტაიბი, კარდონე (ნილსენი 46), კოსტაკურტა, დესაი, მალდინი, ბა, ალბერტინი, მაინი, სავიჩევიჩი (დონადონი 67), განცი, კლუვერტი (ა. ანდერსონი 79)
ბოლონია: სტერკელე, მაგონი, პაგანინი, ტორიზი, მანგონე, პარამატი, ნერვო, კრისტალინი, მაროკი (პავონე 87), კ. ანდერსონი, კოლივანოვი (რ. ბაჯო 67)
გაფრთხილება: მაგონი

იტალიური ტრადიციის თანახმად, ყოველ კვირას ერთი შეხვედრა გვიან, მათი დროით ცხრის ნახევარზე, ჩვენებურად კი თუ ზამთარია პირველის ნახევარზე, თუ ზაფხულია, თერთმეტის ნახევარზე, თუ ჩვენმა პარლამენტმა საათი გადასწია, ზამთრის დროითაც თორმეტის ნახევარზე, ხოლო ალალი ქართული დროით თერთმეტის ნახევარზე იმართება. ვინც დაიბნა პირველ წინადადებას თავიდან ნუ წაიკითხავს, რა მნიშვნელობა აქვს, დასკვნა მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რომ იტალიაში ყოველთვის იციან რომელი საათია, საქართველოში კი არ ვიცით. ჩვენთან ახალი წელიც მაშინ კი არ მოდის, როცა წესია, არამედ მაშინ, როცა პარლამენტს მოეპრიანება. იქ ახალი წელიც თავის დროზეა, შობაც და საშობაო არდადეგებიც, რომლის წინ სერია A-ს ცხრილის ლიდერად პირველი წაგების მიუხედავად მილანის „ინტერი“ დარჩა.

მე-13 კვირის გვარიანი შეხვედრა რომ დაიწყო, „ინტერის“ წაგების ამბავი „სან სიროზე“ უკვე იცოდნენ, მაგრამ არავის წყენია, ვინაიდან მილანის ცნობილ სტადიონზე ქალაქის მეორე გუნდის გულშემატკივრები იყვნენ თავმოყრილნი. „მილანი“ „ბოლონიას“ მასპინძლობდა, რობერტო ბაჯოს ახალი გუნდი ძველთან სათამაშოდ იყო ჩასული. თავად ბაჯომ მეორე ტაიმში მიიღო მონაწილეობა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლონიელთა შეტევებს საგანგებო ნაპერწკალი ვერ შემატა. სტუმრებმა გოლი ვერ გაიტანეს. ვერ გაიტანეს მასპინძლებმაც. სტუმრებს რომ მოეგოთ, 33 წლის წინანდელ მიღწევას გაიმეორებდნენ. „ბოლონიამ“ „სან სიროზე“ „მილანთან“ ბოლოს სწორედ 33 წლის წინ გაიმარჯვა. ასეთი შედეგი არც იყო მოსალოდნელი. ის კი არა მილანელთა გამარჯვება ალბათ უფრო შესაძლებელი იყო, მაგრამ გუნდებმა მხოლოდ თითო ქულა ჩაიწერეს, ორ-ორი კი დაჰკარგეს. „მილანი“ ახლა 20 ქულით მერვე ადგილზეა. გამარჯვების შემთხვევაში კი მეექვსეზე აინაცვლებდა.

— ვერავის ვერაფერს დავაბრალებ. ასე დამარცხება მწარეა. მსაჯის მიერ დამატებულ დროში ჩვენს კარში დიდებულად დაარტყეს. ეს იყო საუცხოო ფეხბურთელის საუცხოო დარტყმა. ჩვენ შევცდით, მან კი მყისვე ისარგებლა — ეს გახლავთ მილანის სხვა გუნდის, „ინტერის“ ხელმძღვანელის ჯიჯი სიმონის სიტყვები, რომელიც მან უდინეში, ოლივერ ბირჰოფის გოლიდან რამდენიმე წუთის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე წარმოთქვა.

„ინტერს“ უდინეში არ ახლდა, საუდის არაბეთს გამგზავრებული ბრაზილიელი ვარსკვლავი რონალდო, რომელიც იმ წუთებში, მისი კლუბი „უდინეზესთან“ რომ მარცხდებოდა, თავისი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში ავსტრალიელთა განადგურებას და კონფედერაციათა თასის მოპოვებას ზეიმობდა. არ იყვნენ წამყვანი ნახევარმცველები დიეგო სიმეონე და ფრანჩესკო მორიერო, რომელთაც დისკვალიფიკაციის გამო მოუწიათ მაყურებლის როლში ყოფნა. დანარჩენმა მილანელებმა მასპინძელთა კართან ხეირიანი სახიფათო მომენტი ვერც კი შექმნეს. თავის მხრივ ვერც „უდინეზეს“ ძლიერმა თავდასხმამ დაააკლო რაიმე შავ-ლურჯთა გუნდის კარგად ორგანიზებულ დაცვას, თუმცა 91-ე წუთზე სადაც ვიწრო იყო, გაწყდა. მასპინძელთა გერმანელმა თავდამსხმელმა ოლივერ ბირჰოფმა მეურვის მარწუხებისგან თავი დაიხსნა და თავისი მთავარი ღირსებები გამოამჟღავნა. რა ღირსებები აქვს ბირჰოფს? იგი თავური დარტყმებისა და უმნიშვნელოვანესი გოლების გატანის სპეციალისტია. ამ შემთხვევაში მისი ორივე ღირსება შეირწყა, გოლი თავურითაც გავიდა და გადამწყვეტიც გახლათ.




**უდინეზე — ინტერი. მილანელი კოე მასპინძელ ჰელვეგს ვერ გასცდა**

„ინტერთან“ გამარჯვების შემდეგ „უდინეზე“ მესამე ადგილზეა. იგი ოთხი ქულით ჩამორჩება „ინტერს“, „იუვენტუსს“ კი სამით. ახლა გუნდს, რომლის კარგ თამაშსაც თავიდან გაკვირვების გამომხატველი ამოძახილებით უფრო ხვდებოდნენ, უკვე რეალურ ძალად მიიჩნევენ. ამაზე საშობაო არდადეგებზე წასული უდინელებიც მეტად დაფიქრდებიან და ჩემპიონატის განახლების შემდეგ კიდევ უფრო ღონიერ სვლას რომ შეუდგნენ, გასაოცარი წესით აღარ უნდა იყოს.

„ინტერმა“ წააგო, „იუვენტუსმა“ რაღა ჰქნა? ტურინის გუნდი ხომ მილანელებს კვალში უდგას და მის ყოველ ფეხის დაცდენას გამგელებული ელოდება.

„იუვენტუსმა“ ლიდერთან ოთხქულიანი ჩამორჩენის ერთამდე შესამცირებლად შანსი ხელიდან არ გაუშვა. 27 წუთში „ემპოლისთან“ „ბებერი ქალბატონი“ 3:0-ს იგებდა. მას მერე რაც ანგარიში ფილიპო ინძაგიმ გახსნა, ალესანდრო დელ პიერომ ორი შეაგდო, მოგვიანებით კი ჰეთ-თრიკიც შეასრულა. ბოლოს „იუვეში“ „მილანიდან“ ახალგადასულმა ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ედგარ დავიდსმა ლონეტოს ავტოგოლიც გაატანინა. დავიდსის გამოჩენით ტურინელთა ნახევარდაცვამ ფერი იცვალა და გაძლიერდა.

აღსანიშნავია, რომ ინძაგის მიერ გატანილი პირველი გოლის თანამონაწილეც დელ პიერო გახლდათ, ინძაგიმ სწორედ დელ პიეროს დარტყმის შემდეგ ასხლეტილ ბურთს დაამატა და ასე მიაღწია მიზანს. „იუვეს“ ფეხბურთელებმა ერთმანეთს ანგარიშის გახსნა მიულოცეს და მეორეც შეაგდეს. როგორც გითხარით, ეს დელ პიერომ შესძლო, რომელმაც შემდეგ პენალტი მოინადირა. თერთმეტი მეტრიდან ალესანდრომ თავად დაარტყა, ოღონდ მეტოქის გოლკიპერმა მარკო როკატიმ მოიგერია ბურთი, რომელიც ისევ ტურინელს მიუგორდა და მეორე ცდიდან ბადეში აღმოჩნდა.

დანარჩენი გოლების აღწერას აქ აღარ შევუდგებით და „იუვენტუსზე“ საუბარსაც იმით დავასრულებთ, რომ იგი სერია A-ს ერთადერთ დაუმარცხებელი გუნდი გახდა. საშობაო არდადეგებზე ასე წასვლა მართლაც კარგია, ხვალ ღამით „ზებრები“ ალბათ სადღესასწაულო სუფრის ნუგბარს მადიანად შეექცევიან.

ფლორენციაში „ფიორენტინამ“ ცხრილში აღმასვლა განაგრძო და დაუმარცხებელ თამაშთა რაოდენობა რვამდე გაზარდა. „ატალანტას“ წინააღმდეგ მცველებმა პასკუალე პადალინომ და მიკელე სერენამ შორეული დარტყმებით გახსნეს და გაზარდეს ანგარიში, მეორე ნახევრის მე-15 წუთზე კი არბიტრმა „ატალანტას“ ნახევარმცველი ანჯელო კარბონე გააძევა მოედნიდან და ბერგამოს გუნდიც ნაწილობად დაიშალა. ბელგიელმა ლუის ოლივეირამ ერთი ხნის შემდეგ ანგარიში 3:0 გახადა და სეზონში თავისი მეექვსე გოლიც გაიტანა. რასაკვირველია, სიტყვა თქვა არგენტინელმა გოლკაცმა გაბრიელ ბატისტუტამაც, რომლის გოლი სეზონში მე-12 გამოდგა. საშობაო სუფრას ბატისტუტა ბომბარდირთა ლიდერის რანგში მიუჯდება. მსაჯის მიერ წამატებულ დროში კი ანსელმო რობიატიმ შეხვედრას წერტილი დაუსვა.

ბრეშაში „რომამ“ მნიშვნელოვანი ქულა მოიპოვა და ამაში მისმა ყოფილმა გოლკიპერმა ჯოვანი ჩერვონემ შეუწყო ხელი. ჩერვონე, რომელიც ახლა „ბრეშას“ კარს იცავს, შეცდომა დაუშვა და პაულუ სერჯიოს გაათანაბრებინა ანგარიში. ეს თამაშის მიწურულს მოხდა, მანამდე კი ჩერვონეს ახალი გუნდი (გოლკიპერი „რომაში“ 1989-97 წლებში თამაშობდა) დარიო უბნერის გოლით იყო დაწინაურებული.

დედაქალაქელებს არ ჰყავდათ დისკვალიფიცირებული თავდამსხმელი ფრანჩესკო ტოტი და ბრაზილიის ნაკრებში მივლინებული ორი მთავარი მცველი კაფუ და ალდაირი.

**პაპუნა ძიძია**




**იურგენ კლინსმანი**

# კლინსმანი გამთენიისას ლონდონში იყო

დასაწყისი პირველ გვერდზე

პასუხად კლინსმანმა შეუთვალა — შენ უამბიციო კაცი ხარ და „სპურზის“ გასაძლიერებლად საკმარის თანხებს არ ხარჯავო.

მიუხედავად მწარე განშორებისა, კლინსმანი ისე პოპულარული, „ტოტენჰემში“ რომ იყო, არსად ყოფილა. ის ხალხიც კი, წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე კლინსმანის მიერ გოლის ზეიმის ხერხს რომ გაელიზიანებინა, „ტოტენჰემში“ გატანილ პირველივე გოლზე სიხარულით წამოხტა და რადიკალურად იცვალეს აზრი. მისი ლონდონური დებიუტი მართლაც სენსაციური გამოდგა. „ევერტონს“ ორი გოლი გაუტანა და მას მერე ინგლისის დედაქალაქში ბედნიერი ცხოვრება დაუდგა. სავარჯიშოდ მისული კლინსმანის „ფოლქსვაგენის“ გამოჩენაზე გულშემატკივრები სიხარულით ცას ეწეოდნენ.

„ბაიერნსა“ და „სამპდორიაში“ კლინსმანს ასე არ გამართლებია. მიუნხენში მან ორი სეზონი გაატარა, გერმანიის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მაგრამ გუნდის დაცვით ტაქტიკას აუმხედრდა და სკანდალებით გადაღლილმა იტალიას მიაშურა. იქ, გენუაში, იმედი ჰქონდა, რომ „სამპდორიას“ ახალ მწვრთნელს, არგენტინელ ლუის სეზარ მენოტის მოერგებოდა, მაგრამ მენოტიმ ნოემბერში თავად დასტოვა გუნდი. ამასობაში კლინსმანს ტრავმებმაც უწია, მუხლი იტკინა და შვიდი კვირის განმავლობაში მკურნალობდა.

ბოლო დროს „ტოტენჰემი“ დაუკავშირდა. თუმცა, კლინსმანი ამას მალავდა, ამბობდა, გენუაში თავს ბედნიერად ვგრძნობ და სეზონის ბოლომდე აქ დავრჩებიო.

სანამ კლინსმანი ჟურნალისტებს ლონდონის კლუბთან მოლაპარაკების ამბებს უმალავდა, „ტოტენჰემმა“ მწვრთნელი შეცვალა. თანამდებობიდან წავიდა ჯერი ფრენსისი, მის ნაცვლად კი შვეიცარიელმა კრისტიან გროსმა ჩაიბა უღელი. დღეს „სპურზი“ ბოლოდან მესამე ადგილზეა, მის ქვევით მხოლოდ „ბარნსლი“ და „ევერტონია“.

ლონდონის კლუბს თავდასხმაში სიმძლავრე აკლია. კუჭი სტკივა ინგლისელ ლეს ფერდინანდს, კრის არმსტრონგი დიდი ხნითაა სამკურნალო, ნორვეგიელი სტეფენ ივერსენი ახლა ცდილობს ტრავმამდელი ფორმის აღდგენას.

კლინსმანს ადვოკატი ენდი გროსი წარმოადგენს. ისიც შვეიცარიელია, თუმცა კრისტიან გროსის ნათესავი არ გახლავთ. ისე, კრისტიან გროსი შუგარს ენდი გროსმა ააყვანინა. გერმანელი ფორვარდის საქმეც მან გაჩარხა.

### პრესკონფერენციაზე

— ვნახოთ, როგორ წავა საქმეები, მომავალზე მერე ვილაპარაკებთ — თქვა კლინსმანმა, რომლის ივნისამდე თხოვება ლონდონელებს 175 ათასი გირვანქა დაუჯდათ — მეც და კლუბიც ვცდილობთ, რომ ჩვენს შორის გაუგებრობა არ მოხდეს.

— ადრე, კლინსმანი ჩვენგან რომ წავიდა, მე საფეხბურთო კონტრაქტებში მთლად კარგად ვერ ვერკვეოდი. ახლა ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. — განაცხადა „ტოტენჰემის“ თავმჯდომარემ შუგარმა.

— ხალხმა მაშინ დიდი სითბო მაგრძნობინა, ასეთი რამ ადამიანს არასდროს ავიწყდება. „ტოტენჰემი“ საუცხოო კლუბია. თავი [illegible] პრემიერლიგიდან [illegible] თანამშრომლობა, მაგრამ მე სხვაგან ვერ წავიდოდი, აქ [illegible] — ისევ ჩამოართვა სიტყვა გერმანელმა — მე რამდენიმე კლუბში მითამაშია, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა გამოცდილება მივიღე, მაგრამ აქაური გრძნობა ვერაფერს შეედრება. აქამდე სხვა პირობები იყო, ვერ დავბრუნდებოდი, მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა და მე სიხარულით მივაშურე „უაიტ ჰარტ ლეინს“.

სიტუაციის შეცვლაში თავდამსხმელმა „სამპდორიას“ სათავეში მენოტის ნაცვლად ვუიადინ ბოშკოვის მისვლა იგულისხმა.

— მე ბოშკოვთან მივედი სალაპარაკოდ. მან ისეთი რამ მიპასუხა, რომ ჩემთვის ნათელი გახდა, მასთან მუშაობა გამორიცხული იყო. მივაშურე „სამპდორიას“ მეპატრონეს ენრიკო მანტოვანის. მანტოვანიმ მხარდაჭერა აღმითქვა და ამტომაცაა „ტოტენჰემმა“ ასე იაფად რომ ამიყვანა.

— ადრე გერმანიაში იმიტომ დავბრუნდი, რომ ჩემპიონობა მსურდა, ახლა „ტოტენჰემის“ გადარჩენა მინდა.

— ჩვენ კლინსმანის გოლები გვჭირდება, გვჭირდება მისი პიროვნებაც — თქვა „ტოტენჰემის“ ახალმა მწვრთნელმა კრისტიან გროსმა — შესაძლოა, კაპიტნად ავირჩიოთ კიდეც, ის ხომ გერმანიის ეროვნული გუნდის კაპიტანიცაა.

### იურგენ კლინსმანი

**დაიბადა 1964 წლის 30 ივლისს, გეოპინგენში**

1972 ფეხბურთის თამაშს იწყებს „გინგენში“, შემდეგ კი 1974 წელს „გაისლინგენში“ გადადის.
1978 უერთდება „შტუტგარტერ კიკერსის“ ახალგაზრდულ გუნდს.
1980 სამ თამაშს ატარებს გერმანიის ახალგაზრდულ B ნაკრებში, თუმცა თავად ახალგაზრდულ გუნდში ადგილი ვერ დაიმკვიდრა.
1982 „კიკერსის“ მთავარი გუნდის მნიშვნელოვანი წევრი ხდება.
1983 ხდება მეორე ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი. გააქვს 19 გოლი.
1984 გადადის „შტუტგარტში“, სადაც პირველსავე სეზონში კლუბის მეორე ბომბარდირი ხდება. გააქვს 15 გოლი. აჰყავთ 21 წლამდელთა ნაკრებში.
1986 მარტში მთელს გერმანიაში ითქვამს სახელს. ხდება მე-11 ფეხბურთელი, რომელმაც ბუნდესლიგის ერთ შეხვედრაში 5 გოლი გაიტანა.
1987 დებიუტი აქვს ნაკრებში. ბრაზილიის წინააღმდეგ (1:1) სამხრეთ ამერიკულ ტურნეზე, დეკემბერში.
1988 ხდება ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი 19 გოლით. ევროპის ჩემპიონატზე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. სეულის ოლიმპიადაზე ხდება ბრინჯაოს მედალოსანი. აღიარებენ გერმანიის წლის საუკეთესო ფეხბურთელად.
1989 მისი დახმარებით „შტუტგარტი“ უეფას თასის ფინალში გადის, სადაც დიეგო მარადონას „ნაპოლისთან“ მარცხდება. სეზონის ბოლოს აცხადებს, რომ დროა რაიმე ახალი ნახოს და მილანის „ინტერში“ გადადის.
1990 დიდებულად გამოდის სერია A-ში, გააქვს 13 გოლი. ხდება მსოფლიოს ჩემპიონი.
1991 შემოდგომაზე ფორმას კარგავს და ნაკრებში მის ნაცვლად კარლჰაინც რიდლეს ათამაშებენ.
1992 საუკეთესო ფორმაში არ არის, მაგრამ რუდი ფოლერის ტრავმა ევროპის პირველობაზე თამაშის საშუალებას აძლევს. „ინტერში“ უკვე აკრიტიკებენ და „მონაკოში“ გადადის.
1993 აშშ-ის ხაზაფხულო ტურნირზე ჩინებულად თამაშობს.
1994 მსოფლიოს ჩემპიონატზე კარგად თამაშობს. ინგლისურ კლუბში გადასვლაზე უარს ამბობს, აცხადებს, სამხრეთ ევროპაში მინდა თამაშიო და ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურში“ გადადის.
1995 ინგლისში საოცარ პოპულარობას აღწევს და ხდება წლის საუკეთესო ფეხბურთელი. იმავე წელიწადს პირველად კაპიტნობს გერმანიის ნაკრებს. მაისში მიუნხენის „ბაიერნში“ გადადის, აცხადებს, რომ კარიერის დარჩენილი ნაწილი სამშობლოში უნდა გაატაროს.
1996 ხდება ევროპის ჩემპიონი, მაგრამ „ბაიერნში“ მწვრთნელის, ჯოვანი ტრაპატონის დაცვით ტაქტიკას აკრიტიკებს და სეზონის ბოლოს კლუბს სტოვებს.
1997 გადადის იტალიურ „სამპდორიაში“, საიდანაც გუშინ „ტოტენჰემს“ დაუბრუნდა.

# მშვიდი დღე

ვერის ბაღი
საქართველოს მე-7 ჩემპიონატი
22 დეკემბერი

### თსუ 98:70 რიონი

**თსუ:** ჟღენტი (6), ცხვედიანი (15), წოწელია (9), ბაბიაშვილი (2), ნიჟარაძე (9); გელაშვილი (6), არსიაშვილი (22), კიკაბიძე (3), ნიკოლაძე (19), ქარჩავა (7)
**რიონი:** წერეთელი (9), ჭეიშვილი (24), ჩიკვაშვილი (16), შანიძე (6), ჯალაღონია (6); აბდალაძე (4), შალიკიანი (1), ბერეკაშვილი (4)

წინა მატჩისგან განსხვავებით, სტუდენტებმა პირველივე ტაიმში გადაწყვიტეს შეხვედრის ბედი, თუმცა ისიც სათქმელია, რომ მეტოქე გაცილებით სუსტი ჰყავდათ. თსუ მატჩებს ძირითადად 5-6 მოთამაშით ატარებს, ამ შეხვედრაში კი სხვებიც გამოსცადა.

### დინამო 93:83 ასკ

**დინამო:** ხოშტარია (6), ბერია (2), კილაძე (6), ბეჟანიშვილი (15), შენგელია (36); ჩიქოვანი (9), მაისურაძე (13), მეჭურჭლიშვილი (6), შანიძე
**ასკ. დ.** მოისწრაფიშვილი (13), თაბუაშვილი (2), ჭყონია (5), ჩხაიძე (10), მინაშვილი (20); ქართველიშვილი (7), პაპასკირი (9)

ასკ ყველაზე სტაბილური საშუალო გუნდია ჩვენს ჩემპიონატში. თავისზე დაბალი კლასის კლუბებთან ქულას არ კარგავს, მაგრამ თუ „შევარდენი" ან „მაკაბი" ლიდერებს აქა-იქ დიდ ბრძოლას უმართავენ, არმიელები მათთან ადვილად თმობენ მატჩებს. ამ შეხვედრაში გუნდმა „დინამოსთვის" წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ კახა შენგელიას ვერაფერი მოუხერხა და საპატიო ანგარიშით დამარცხდა.

### აზოტი 103:92 მაკაბი

**აზოტი:** გაბისონია (3), გოგობერიშვილი (15), წიკლაური (20), ბოისა (7), ჯაფარიძე (32); კეჭაყმაძე (5), გოგოლაძე (2), კიკვიძე (6), ბერუაშვილი (13)
**მაკაბი:** ანდღულაძე (17), ხუხაშვილი (24), ტალაბაძე (26), შველიძე (4), ახალკაცი (17); ენდელაძე (4), ცაცაბაშვილი (7)

მაკაბელთა ისედაც ხუთკაციანი გუნდისთვის წინა შეხვედრაში გაძევებული ფერიაშვილის დისკვალიფიკაცია დიდი დანაკლისია, მაგრამ თუ ახლა, ჩემპიონატის ლიდერთან ფერიაშვილის ყოფნა „მაკაბის" ვერაფერს უშველიდა, შემდეგ მატჩებში ეს გუნდს აშკარად დაეტყობა. რუსთაველებთან მაკაბელებმა შესაძლებლობისამებრ ითამაშეს და ამ მატჩის შედეგიც ისეთი იყო, როგორიც ლიდერისა და ცხრილის შუაგულში მყოფი გუნდის შეხვედრას შეეფერება.

**კოტე მგალობლიშვილი**

# რუსებთან ომი როგორია...



კახა შენგელია დინამოელი გახდა

ხან სად გადაგაგდებს ბედის ბორბალი, ხანაც სად...

ჯერ კიდევ სსრკ საკალათბურთო ჩემპიონატების დროს იმედისმომცემ თბილისის დინამოელ კახა შენგელიაზეც ალაპარაკდნენ. მას შემდეგ კახას სპორტულ ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. წლეულს, მაისში ჯერაც ახალგაზრდამ გულისტკივილით მითხრა, სპორტიდან ალბათ სამუდამოდ წავალო. მერე ის იყო, რომ სანკტ-პეტერბურგის „სპარტაკში" წავიდა სათამაშოდ, ახლახან კი თბილისის „დინამოში" გამოგვეცხადა.

— გეხსომება, შარშანდელ საკალათბურთო სეზონში ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში თითქმის არ მითამაშია. „ვითაში" კი ვირიცხებოდი, მაგრამ გუნდშიც და ნაკრებშიც მხოლოდ საერთაშორისო მატჩებს ვთამაშობდი. ეს არ იყო კაპრიზი, უბრალოდ, წელი მტკიოდა და დიდ დატვირთვას ვერ ვუძლებდი. ის კი არა, სეზონის ბოლოს ვერც სუპერფინალში ვითამაშე და საერთოდ კალათბურთიდან წასვლაც გადავწყვიტე.

**— რუსეთში როგორ აღმოჩნდი?**

— ხომ გაგიგია, მიდიოდა და ფეხები უკან რჩებოდაო. მივდიოდი კალათბურთიდან და თან ვყოყმანობდი. გაზაფხულმა, რომ იტყვიან, ძვლები გამითბო, წელის ტკივილმაც გამიარა და ერთი მოსკოვური საგენტოც დამიკავშირდა. ეს სააგენტო სპორტსმენებს გუნდების პოვნაში და სარფიანი კონტრაქტების გაფორმებაში ეხმარება. ამათმა წარმომადგენელმა ტარიელ ეგაძემ მაცნობა, შენი მონაცემები ესენგეს ქვეყნების რამდენიმე საკალათბურთო კლუბში გავგზავნეო. პირველად ჩემით ქალაქ პერმში დაინტერესდნენ და მალე იქ გასასინჯადაც გავემგზავრე. პერმის გუნდში ჩემი ძველი მეგობარი მიხაილ ანტროპოვი დამხვდა. სხვათა შორის, ბინაშიც მასთან ვცხოვრობდი. ერთ საღამოს მიშას სანკტ-პეტერბურგის „სპარტაკის" დირექტორმა ვალერი ზახაროვმა დაურეკა და „სპარტაკში" გადასვლა შესთავაზა. მიშას იმ დროისთვის პერმელებთან კონტრაქტზე ხელი მოწერილი ჰქონდა და ზახაროვს სანაცვლოდ ჩემი თავი შესთავაზა. სანამ პეტერბურგელებისგან პასუხს გავიგებდი, მანამდე თბილისში წამოვედი, რადგან შევატყვე, პერმის გუნდის მწვრთნელები იმ „საჭოჭმანო" კალათბურთელების დატოვებასაც აპირებდნენ, ვისი მაგივრობაც მე უნდა გამეწია. თბილისში ჩამოსულს მეორე დღესვე ზახაროვი დამიკავშირდა და მითხრა, რომ „სპარტაკში" ჩემთვის „ვაკანტური" ადგილიც გამოინახა და კონტრაქტიც. ასე რომ, პეტერბურგში ჩასულმა პირდაპირ მოვაწერე ხელი კონტრაქტს და თან ოჯახიც ჩავიყვანე. 10-თვიანი კონტრაქტი იმასაც ითვალისწინებდა, რომ ჩემთვის სამოთახიანი ბინა უნდა ექირავებინათ. თუმცა საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ბინაც მე ვიქირავე და... წამოსვლის წინ გავარკვიე, გარდა იმისა, რომ კონტრაქტის მრავალი მუხლი დაარღვიეს, დღეები გამომითვალეს და ხელფასი ისე გადამიხადეს, ჯამში მხოლოდ ერთი თვის. რა უნდა მექნა, რუსებთან ომის დაწყება როგორი საქმეა...

**— თბილისში ამბობდნენ, კახა კარგ ფორმაშია და კარგადაც თამაშობსო.**

— „სპარტაკში" ჩასულმა 11 კილოგრამი დავიკელი, ნელ-ნელა ფორმაც აღვიდგინე. საკუთარ თავზე არ უნდა ვამბობდე, მაგრამ ასე კარგად დიდი ხანია არ მითამაშია. ამას შეკრებებმა და ორჯერადმა ვარჯიშებმაც შეუწყო ხელი, წარმოიდგინე, შინ შერბენასაც კი ვერ ვასწრებდი ხოლმე ხანდახან. „სპარტაკში" ყოფნისას გუნდმა 11 შეხვედრა ჩაატარა, მათგან პირველ ხუთ მატჩში საერთოდ ტექნიკური შეცდომის გარეშე ვითამაშე, არც შედეგი მქონდა ურიგო: პირველ თამაშში 10 ქულა, მეორეში 13, მაგრამ ვამჩნევდი, მწვრთნელებს წყალი ჰქონდათ შეყენებული — გუნდმა 11-დან მხოლოდ 1 შეხვედრა მოიგო. ბოლო მატჩებში მხოლოდ 30 წამიდან 2 წუთამდე მათამაშებდნენ.

**— თბილისში, იმასაც ამბობდნენ, კახა რომ სკამზე დასვეს, „სპარტაკის" მეორე ცენტრის მელნიკის ბრალიაო.**

— მელნიკი ჯერ კიდევ რიგის „ვეფში" თამაშობდა. ვითელები მას „ბროცენის" შემადგენლობაში მყოფს შევხვდით. მაგრამ მელნიკს ჩემთვის ხელი არ შეუშლია. უბრალოდ, „სპარტაკში" „რევოლუციის" შემდეგ „მთავრობა" შეიცვალა. გუნდში ახალი მწვრთნელები პავლოვი და ცედრიკი მოვიდნენ. ახალ ხელმძღვანელობასთან ერთად შეიცვალა ყველაფერი, მათ შორის წვრთნის რეჟიმი, თამაშის სტილი და, ცხადია, გუნდის შემადგენლობაც. მე კი გამომიცხადეს, ბოდიში, მაგრამ ჩვენ არ მოგვიწვევიხარო. მოკლედ, რაში გამოგვიყენოთ, არ ვიცითო.

**— „ვითაში" რატომ არ დაბრუნდი?**

— მოდი, ამ თემას ნუ შევეხებით. „დინამოში" ჩემი სურვილით მივედი და სეზონის ბოლომდე კონტრაქტს მოვაწერე ხელი. მერე რა იქნება, უცხოეთში წავალ თუ თამაშს თავს დავანებებ, ვნახოთ.

**— ნაკრების თამაშები თუ ნახე?**

— ვიდეოჩანაწერების ნახვა ჯერჯერობით ვერ მოვახერხე. რაც ვიცი, გადმოცემით. ის, რომ საჯარიმოების გამო წავაგეთ, ბლეფია. მოედანზეც ყველა მოსაგებად გამოდის და მარცხი არავის უხარია. თამაშის გარჩევა შორიდან საკმაოდ იოლია. ქულებით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენ მოგებასთან ახლოს ვიყავით, რაღაც დაგვაკლდა... ამბობენ, ნაკრების ხელმძღვანელობამ სინანული გამოთქვა, რომ გუნდში არ ვიყავი და თებერვალში ითამაშებსო. არ ვიცი, ჩემთან ჯერ არავის უსაუბრია.

**დიანა დადიანი**

რეგულარული ჩემპიონატი

# ნიუ იორკს მხარი მოტყდა

19 დეკემბერი

### ვაშინგტონი 106:86 შარლოტი

**ვაშინგტონი:** ჰოვარდი (26), უებერი (24+19 მოხსნა)
**შარლოტი:** კარი (14)

ვაშინგტონს ახალ დარბაზში ჯერ არ წაუგია.

### ინდიანა 98:90 დეტროიტი

**ინდიანა:** სმიტსი (20)
**დეტროიტი:** სტეკჰაუზი (33), უილიამსი (25+14 მოხსნა)

დეტროიტში პირველად მოთამაშე ჯერი სტეკჰაუზმა 33 ქულა დააგროვა, თანაც სასტარტო ხუთეულში არ უთამაშია. სამაგიეროდ, ხუთეული დააჭაშნიკა მეორე ყოფილმა ფილადელფიელმა ცენტრმა ერიკ მონტროსმა და... 0 ქულა!

### ატლანტა 96:98 ლეიკერსი

**ატლანტა:** სმიტი (24)
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (19)

ორივე გუნდმა სეზონი ზედიზედ 11 მოგებით დაიწყო, რაც მათთვის სარეკორდოა, მაგრამ ორივეს მაიამიმ და ნიუ იორკმა შეაწყვეტინეს ტრიუმფალური სვლა. მას მერე ლეიკრესს შაკილ ონილი გამოაკლდა და გუნდმაც წაგებებს უხშირა. ეს მატჩი კი ლეიკერსმა ელდენ კემპბელის წყალობით მოიგო, ვინაც ბოლო წუთებში 9 ქულა (სულ 18) გააკეთა.

### ფილადელფია 84:91 მაიამი

**ფილადელფია:** რეტლიფი (17)
**მაიამი:** ჰარდევეი (22+14 პასი)

### კლივლენდი 77:104 ნიუ იორკი

**კლივლენდი:** ილგაუსკასი (16+13 მოხსნა)
**ნიუ იორკი:** იუინგი (22+10 მოხსნა)

პატრიკ იუინგის ნიუ იორკს პრაქტიკულად დაბრიყვებული ჰყავს კლივლენდი.

### ტორონტო 92:91 მილუოკი

**ტორონტო:** სტუდემაიერი (36)
**მილუოკი:** გილიამი (23)

საცოდავმა ტორონტომ მესამედ გაიმარჯვა, რაშიც ლომის წილი 1996 წლის საუკეთესო ახალბედამ დეიმონ სტუდემაიერმა დაიდო. მან კარიერის რეკორდი დაიმყარა 36 ქულით, 59 წამით ადრე ჩაგდებული მისი სამქულიანი კი გადამწყვეტი აღმოჩნდა.

### ჰიუსტონი 116:98 საკრამენტო

**ჰიუსტონი:** უილისი (28), ბარკლი (23+16 მოხსნა)
**საკრამენტო:** რიჩმონდი (24)

### პორტლენდი 96:91 ვანკუვერი

**პორტლენდი:** რაიდერი (31)
**ვანკუვერი:** ადურ-რაჰიმი (25)

20 დეკემბერი

### სან ანტონიო 100:87 ჰიუსტონი

გამარჯვებულთაგან თავი გამოიჩინეს ჯონსონმა (21 ქულა + 10 პასი), ელიოტმა (20) და დანკანმა (20+10 მოხსნა), ძლეულთაგან კი დრექსლერმა (26+10 მოხსნა) და ბარკლიმ (22+14 მოხსნა).

### ნიუ ჯერსი 92:100 ჩიკაგო

**ნიუ ჯერსი:** ვან ჰორნი (20), უილიამსი (17 მოხსნა)
**ჩიკაგო:** ჯორდანი (24), როდმანი (24 მოხსნა)

NBA-ს ყველაზე ექსტრავაგანტული მოთამაშე დენის როდმანი ლიგის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მომხსნელია. იგი დღეს „ამ საქმეში" უძლიერესია, მაგრამ მოხდა ისე, რომ მას ჩარლზ ბარკლიმ და ნიუჯერსელმა ჯეისონ უილიამსმა გაასწრეს. ნიუ ჯერსის „ისთ რეზერფორდში" თამაშის დაწყებამდე გამოაცხადეს, ჩვენი ჯილა ჯეისონ უილიამსი მოხსნებში პირველიაო, რამაც როდმანს სულ ცოფები აყრევინა. მე თქვენ გაჩვენებთ, ვინ არის პირველიო და, ისე „გადაეფოფრა" ფარს, რომ თავისიანების მოხსნების ნახევარი მის წილად მოვიდა. 24 მოხსნა როდმანისთვის სეზონში საუკეთესო შედეგია, საბოლოოდ კი მისი და ჯორდანის წყალობით ჩიკაგომ 6-ქულიანი სხვაობაც გაქვითა და მოიგო კიდეც.

### ტორონტო 92:94 ვაშინგტონი

**ტორონტო:** სტუდმაიერი (18)
**ვაშინგტონი:** უებერი (28+12 მოხსნა)

თამაშის დამთავრებამდე 54 წამით ადრე ტორონტოელმა კემბიმ 92:92 გახადა, რასაც სირენამდე 14 წამით ადრე ვაშინგტონელმა სტრიკლენდმა მიაყოლა ზუსტი ტყორცნა და ტორონტოს ზედიზედ მეორე მოგება არ აღირსა.

### მაიამი 99:92 ატლანტა

**მაიამი:** მურნინგი (21+12 მოხსნა)
**ატლანტა:** სმიტი (23), მუტომბო (19+15 მოხსნა + 6 დაფარება)



კლივლენდი — იუტა. იუტელი სტოქტონი უესლი პერსონს თავზე წამოაჯდა

### ორლანდო 92:95 ინდიანა

**ორლანდო:** საიკლი (37+12 მოხსნა)
**ინდიანა:** მულინი (18)

რონი საიკლიმ 37 ქულით სეზონის რეკორდი გაიუმჯობესა, მაგრამ ორლანდოს ამანაც ვერ უშველა.

### დეტროიტი 115:78 ფილადელფია

**დეტროიტი:** უილიამსი (22+13 მოხსნა)
**ფილადელფია:** კოულმენი (16)

ფილადელფიაში გულმტკივანი კოულმენი გამოჩნდა და თავისიანებში ყველაზე შედეგიანი იყო. დეტროიტელმა ახლაბედამ ჯერომ უილიამსმა ყველაზე მეტი ქულა დააგროვა. ყოფილი თავისიანების წინააღმდეგ თავი გამოიდო ჯერი სტეკჰაუზმაც (20 ქულა). ამ ორის, აგრეთვე ჰანტერის და ჰილის ძალისხმევით დეტროიტმა გრიგალივით გადაუარა ფილადელფიას.

### შარლოტი 100:109 ლეიკერსი

**შარლოტი:** რაისი (32)
**ლეიკერსი:** ვან ექსელი (24+11 პასი)

### მინესოტა 92:91 კლიპერსი

**მინესოტა:** გულიოტა (24)
**კლიპერსი:** რაიტი (15+22 მოხსნა)

ანგარიში 91:90 იყო კლიპერსის სასარგებლოდ, დამთავრებას 11 წამი აკლდა, ტომ გულიოტამ კუთხიდან ჩააგდო და მინესოტას მოაგებინა.

### დალასი 88:89 საკრამენტო

**დალასი:** სკოტი (21)
**საკრამენტო:** უილიამსონი (27)

### მილუოკი 98:78 ნიუ იორკი

**მილუოკი:** ალენი (35), რობინსონი (27)
**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (15)

ნიუ იორკ ნიქსი დიდად დაზარალდა — მძიმედ დაუშავდა პატრიკ იუინგი. მეორე მეოთხედის დამთავრებამდე 25 წამი რჩებოდა, პატრიკმა ჩარლი უორდის პასი მიიღო ფარქვეშ, ახტა და... მკერდში ისეთი ძალით აჯახეს იდაყვი, თვალთ დაუბნელდა და მთელი ძალით დაასკდა იატაკს. ექიმების თქმით, მან მხარი ისე დაიზიანა, რომ პლეი-ოფშიც კი ვერ ითამაშებს, თუ, რა თქმა უნდა, მისიანები იქ მის გარეშე მოხვდნენ. იუინგი ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრია. თავის მე-13 სეზონში საშუალოდ 20,8 ქულასა და 10,2 მოხსნას აგროვებდა.

### დენვერი 81:102 ფინიქსი

**დენვერი:** ბათი (14)
**ფინიქსი:** ნეში (20)

### სიეტლი 108:89 გოლდენ სტ.

**სიეტლი:** შრემპფი (20)
**გოლდენ სტეიტი:** დელკი (20)

21 დეკემბერი

### ვანკუვერი 88:86 პორტლენდი

**ვანკუვერი:** აბდურ-რაჰიმი (28+14 მოხსნა)
**პორტლენდი:** რაიდერი (19)

შარიფ აბდურ-რაჰიმმა თავისი 28 ქულიდან 9 ბოლო მეოთხედში მიითვალა და მოაგებინა კიდეც ვანკუვერს. რაიდერის გარდა პორტლენდში საბონისმაც ივაჟკაცა (18 ქულა)

### ბოსტონი 99:77 კლიპერსი

**ბოსტონი:** უოლკერი (23+15 მოხსნა)
**კლიპერსი:** როჯერსი (20)

### კლივლენდი 106:101 იუტა

**კლივლენდი:** კემპი (24+11 მოხსნა), ანდერსონი (23)
**იუტა:** მელოუნი (24+13 მოხსნა)

ტრავმამოშუშებული ჯონ სტოქტონი აშკარად ვერ არის ფორმაში — იუტას გამთამაშებელს თამაშში 15 ქულაზე მეტი ჯერ ვერ დაუგროვებია. ყველა დროის საუკეთესო პასის მიმცემი კლივლენდში 11 ქულასა და 6 შედეგიან გადაცემას დასჯერდა.

**ირაკლი ფირაშვილი**

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| მაიამი | 17 | 8 | 68,0 |
| ორლანდო | 16 | 10 | 61,5 |
| ნიუ იორკი | 15 | 11 | 57,7 |
| ნიუ ჯერსი | 13 | 11 | 54,2 |
| ბოსტონი | 12 | 12 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 13 | 14 | 48,1 |
| ფილადელფია | 6 | 18 | 25,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ატლანტა | 19 | 7 | 73,1 |
| ინდიანა | 17 | 8 | 68,0 |
| ჩიკაგო | 16 | 9 | 64,0 |
| კლივლენდი | 16 | 9 | 64,0 |
| შარლოტი | 15 | 9 | 62,5 |
| მილუოკი | 12 | 13 | 48,0 |
| დეტროიტი | 12 | 15 | 44,4 |
| ტორონტო | 3 | 23 | 11,5 |

### დასავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| ჰიუსტონი | 14 | 8 | 63,6 |
| იუტა | 15 | 10 | 60,0 |
| სან ანტონიო | 15 | 10 | 60,0 |
| მინესოტა | 11 | 13 | 45,8 |
| ვანკუვერი | 10 | 17 | 37,0 |
| დალასი | 5 | 20 | 20,0 |
| დენვერი | 2 | 22 | 8,3 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| სიეტლი | 21 | 5 | 80,0 |
| ლეიკერსი | 20 | 6 | 76,9 |
| ფინიქსი | 15 | 8 | 65,2 |
| პორტლენდი | 14 | 10 | 58,3 |
| საკრამენტო | 9 | 17 | 34,6 |
| გოლდენ სტეიტი | 5 | 18 | 21,7 |
| კლიპერსი | 5 | 22 | 18,5 |



პატრიკ იუინგი ეს-ესაა მძიმედ დაშავდა

# ეგრე არ არის ბერნიო...



ერთი მხიარული წვეულებისას შუმახერი ეკლსტოუნს ასე „გაუმასპინძლდა“. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ფორმულის გამგებელს შესაძლოა ხუმრობაგაშვებითაც აafარონ თეფში

ფლამანდიურ გაზეთ „ბელანგ ვან ლიმბურგთან“ ინტერვიუში ევროგაერთიანების წარმომადგენელმა კარლ ვან მიერტმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს, ევროგაერთიანების ეგიდით რაიმე იღონოს ფორმულა I-ში ბერნი ეკლსტოუნის მონოპოლიის წინააღმდეგ. ეკლსტოუნმა 15 წლის წინ ფორმულა I-ის მართვის ექსკლუზიური უფლება მიიღო და მისსავე ხელშია ტელეტრანსლაციის უფლებანიც.

ევროგაერთიანება ამ საკითხის ისე მოგვარებას აპირებს, რომ გათვალისწინებული იყოს ყველას — სპონსორების, მაყურებელ-ჟურნალისტებისა და ტელემუშაკების ინტერესები.

თვით ბერნი კი, რომელსაც ასეთი განუსაზღვრელი უფლება აქვს მინიჭებული ფია-სგან, ამ ორგანიზაციის შეფთან, მაქს მოსლისთან ერთად იმაზე ფიქრობს, როგორ გახადოს ფორმულა 3000 უფრო შემოსავლიანი და, როგორც ჩანს, ამ შეჯიბრის ფორმულა I-ის დანამატად ქცევას აპირებს „ფორმულა I-იუნიორის“ სახელწოდებით. მისივე ყურადღების არეშია გრანტურიზმი და საგზატკეცილო რბოლებიც, რაც მისი ორგანიზაციის შემოსავალს კიდევ უფრო გაზრდის. მაგრამ ამავე დროს იზრდება ფორმულა I-ის გუნდების უკმაყოფილებაც, რომლებიც თვლიან, რომ ბერნი ეკლსტოუნის მიერ ტელერეპორტაჟებისგან მიღებული შემოსავლის წილი მეტად დიდია და მოითხოვენ, რომ გადაისინჯოს შეთანხმების პირობები. ამავე დროს, გართულებულია ფორმულის აქციების გაყიდვაც. ერთი სიტყვით, ეკლსტოუნის და მოსლის სამფლობელოში ყველაფერი რიგზე ვერ არის და ფია-ს ამ ორ მმართველს თამბაქოს რეკლამის აკრძალვასთან დაკავშირებულ პრობლემებთან ერთად ეკლსტოუნის კომპანიის ინტერესების დაცვაც მოუწევს ევროგაერთიანების შემოტევისგან.



# გალიამოვას ვერ აჩერებენ

გრონინგენში პრეტენდენტთა ტურნირზე ალისა გალიამოვა დაწინაურდა. მე-10 ტურში მან ქეთინო არახამიას მოუგო, მე-11-ში — შვედ პია კრიმლინგს. მეორე ლიდერმა მაია ჩიბურდანიძემ კი ამავე ტურებში ქულა დაკარგა — ორჯერვე ყაიმზე შეუთანხმდა ნანა იოსელიანსა და ჩინელ სე ძუნს.

დანარჩენი შედეგები ასეთია — მე-10 ტური: პენგი (ჩინეთი) — სე ძუნი 1:0, მარიჩი (იუგოსლავია) — გურიელი 0,5:0,5, კრამლინგი — კახიანი 1:0.

მე-11 ტური: მარიჩი — პენგი 1:0, გურიელი — კახიანი 1:0, არახამია— იოსელიანი 0,5:0,5.

თერთმეტი ტურის შემდეგ ალისა გალიამოვა 8,5 ქულით ერთპიროვნული ლიდერი გახდა. მაია ჩიბურდანიძეს 7,5 ქულა აქვს, ნანა იოსელიანსა და სე ძუნს 6,5:6,5.

ვაჟთა ტურნირს უკანასკნელი ქართველიც გამოეთიშა. ზურაბ აზმაიფარაშვილმა დამატებული ბლიც-პარტია წააგო მიხეილ კრასენკოვთან (პოლონეთი) და მერვედფინალის მიღმა დარჩა.


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XX ტური

25-26 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — ლესტერი | 1,35 | 3,4 | 6,0 |
| ასტონ ვილა — ტოტენჰემი | 1,6 | 3,1 | 4,2 |
| ბოლტონი — ბარნსლი | 1,45 | 3,1 | 5,6 |
| ჩელსი — უიმბლდონი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| კრისტალ პალასი — საუთჰემპტონი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| დერბი — ნიუკასლი | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| ლივერპული — ლიდსი | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — ევერტონი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| შეფილდ უენსდეი — ბლექბერნი | 2,3 | 3,0 | 2,3 |
| ვესტ ჰემი — ქოვენთრი | 1,6 | 3,1 | 4,2 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXIV ტური

25-26 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩარლტონი — ნორვიჩი | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| ქრიუ — მანჩესტერ სიტი | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| ჰადერსფილდი — მიდლსბრო | 4,0 | 3,2 | 1,6 |
| იფსვიჩი — ბირმინგემი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| ნოტინგემი — სვინდონი | 1,35 | 3,4 | 6,0 |
| პორტსმუთი — ქუინზ პარკი | 2,3 | 3,0 | 2,3 |
| რედინგი — ვესტ ბრომვიჩი | 2,5 | 2,9 | 2,2 |
| სტოკპორტი — პორტ ვეილი | 1,5 | 3,2 | 4,7 |
| სტოკი — შეფილდ იუნაიტედი | 2,4 | 2,8 | 2,3 |
| სანდერლენდი — ბრედფორდი | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| ტრანმერი — ბერი | 1,6 | 3,1 | 4,2 |
| ვულვერჰემპტონი — ოქსფორდი | 1,3 | 3,6 | 6,5 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

**1997 წლის ბოლო სამუშაო დღე 30 დეკემბერია. საშობაო-საახალწლო არდადეგების მერე მუშაობა 9 იანვარს განახლდება.**




ოლიმპიადის მასპინძელ ნაგანოში უჩვეულოდ დათბა და თვის დამდეგს ისედაც მცირედ ჩამოთოვილი მთლად დაადნო. გასულ კვირას ტემპერატურა დეკემბრის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით 2-4 გრადუსით მეტი იყო, რამაც ოლიმპიადის ორგანიზატორებს თეთრი შობის იმედი საბოლოოდ გადაუწურა.

# თოვლი მოვა!

— არ ვიცი, რისი ბრალია, მაგრამ ცივი ჰაერის მასები, რომლებიც დეკემბრის მიწურულს იცის ხოლმე, წელს ნაგანოს ახლოს არ ეკარება — მხრებს იჩეჩავს ოლიმპიადის ორგკომიტეტის ამინდის პროგნოზის სპეციალისტი ტამაჰირო კიმინო. მაგრამ, მისივე თქმით, თამაშების გახსნამდე თვენახევარი რჩება, ასე რომ, სანერვიულო ჯერ არაფერია, იანვარში დიდ თოვლს მოველითო. კიმინოს გული იაპონიის მეტეო-სააგენტომაც გაუმაგრა, ოლიმპიადისთვის ნაგანოში თოვლი თავზესაყრელად იქნებაო.



# როსდა ეღირსოთ?

შვედეთში ოლიმპიადა ბოლოს 1912 წელს გაიმართა. მაშინ ზაფხულის თამაშები სტოკჰოლმში ჩატარდა, იმ წლიდან მოყოლებული კი შვედებს არ იქნა და არ ეღირსათ ამ უდიდესი სპორტული შეჯიბრების მასპინძლობა. მას შემდეგ მათ შვიდჯერ წარადგინეს სტოკჰოლმის კანდიდატურა, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, თითქოს უფრთხისო, ამ ქვეყანაში ოლიმპიადის ჩატარებას უარობდა. შვედების სურვილი ბოლო წლებში იმანაც გააორკეცა, რომ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს ვინ ჩივის, „თეთრი ოლიმპიადაც“ სანატრელი გაუხდათ — სარაევოს ოლიმპიადიდან მოყოლებული, სკანდინაველები მუდამ მასპინძლობის კანდიდატად რჩებიან. სულ ბოლოს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა შვედებს რამდენიმე თვის წინ უგანა — 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიადის ფავორიტ ხუთ ქალაქს შორის სტოკჰოლმიც იყო და მიუხედავად იმისა, რომ შვედეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა 20 მილიონი დოლარი დახარჯა სარეკლამო კამპანიაში, მასპინძლობა მაინც ათენს ანდეს.

— ისე არ გვიმართლებს, უნებურად ეჭვიც გვებადება, ვინმემ ხომ არ დაგვთარსა. ამდენი ხანია ვიბრძვით და არაფერი გამოგვდის. 2004 წლის თამაშებისთვის ბრძოლაში ხელი მოგვეცარა, იმედია, 2006 წლის ზამთრის ოლიმპიადის შვედეთში გამართვის უფლებას მაინც მოგვცემენ. სხვა თუ არაფერი, სტოკჰოლმი ბოლო ოთხი ოლიმპიადის შესაძლო მასპინძელ ქალაქთა შორის იყო — განაცხადა შვედეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა კარლ გუსტავ ანდერბერგმა. მისივე თქმით, უახლოეს მომავალში შვედეთს, კერძოდ კი სტოკჰოლმს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 11 წევრი ეწვევა, რომლებიც გადაწყვეტენ, ღირს თუ არა სტოკჰოლმში ზამთრის ოლიმპიადის ჩატარება. „დროა, სალად ვიმსჯელოთ. თუ სტოკჰოლმს რეალურად შეაფასებენ, მაშინ, ვფიქრობ, სანერვიულო არაფერი გვაქვს, მაგრამ თუ მის ბედს მავანთა სიმპათიები გადაწყვეტს, ეს უკვე ჩემი საქმე არაა“ — თქვა ანდერბერგმა. მანვე შვედეთის მთავრობას მოუწოდა, უფრო დიდი თანხები დააბანდონ ოლიმპიურ მოძრაობაში, რადგან ეს თანხები (მილიონობით დოლარი) ქვეყანას ათმაგად დაუბრუნდება.

შვედეთის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებმა, გუნილა ლინდბერგმა და არნე ლუნგავიცმა მთელი ქვეყნის სახელით მიმართეს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს. ხუან ანტონიო სამარანჩის სახელზე გაგზავნილ წერილში ზემოხსენებულმა პირებმა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ოლიმპიადის ღირსეულად მასპინძლობა და რაც მთავარია, სპორტის უდიდესი და უბრწყინვალესი ზეიმი აღუთქვეს.

რას იზამს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, ამის წინასწარ თქმა ძნელია, თუმცა ხმები დაირხა, 2006 წლის ზამთრის ოლიმპიადის სამასპინძლოდ ჰელსინკისა და ლილეჰამერის შეამხანაგებამ ამ ორგანიზაციის მამები ერთობ მოხიბლაო.



NHL

## რეგულარული ჩემპიონატი

**დეტროიტი — ნიუ ჯერსი 5:4**

**შაიბები: მაკეი 11(0:1), ლიდსტრომი 12(1:1), ნიდერმაიერი 6(2:1), ბრაუნი 8(2:2), ნიდერმაიერი 7(3:2), ლიდსტრომი 13(3:3), ბრაუნი 9(3:4), ტომასი 5(4:4), ბრაუნი 10(4:5)**

ნიუ ჯერსი ის კლუბია, დაცვაში ათასგვარი სისტემა რომ გამოუგონებია. თავიანთი ტაქტიკით „ეშმაკებმა“ არაერთ კომბინაციურ და შემტევ გუნდს გაუმწარეს სიცოცხლე. გამონაკლისი არც დეტროიტი გახლავთ, რომელიც ნიუჯერსელებმა 1995 წლის სტენლის თასის პლეი-ოფში იმსხვერპლეს. მას შემდეგ ამ ორი მეტოქის ნებისმიერი ორთაბრძოლა ერთობ პრინციპულია და უმეტესად დიდი შედეგიანობით არ გამოირჩევა.

ეს მატჩი კი ასე წარიმართა: თავდაპირველად გუნდებმა გოლები გაცვალეს, და კარგა ხანს ანგარიში არ შეცვლილა. ბოლო მესამედში კი „ეშმაკებმა“ რატომღაც ლაღი ჰოკეი ამჯობინეს და ასეთი თამაშის მოყვარულ დეტროიტთან გაჯიბრება 5 გოლადაც დაუჯდათ. იშვიათად გამტანმა სტუმარმა ბრაუნმა (3+1,10), გარდა იმისა, რომ გადამწყვეტი გოლი გაიტანა, კარიერაში პირველი ჰეთ-თრიქი მიითვალა, მისმა თანაგუნდელმა გოლუბოვსკიმ კი ლიგაში პირველი ქულები (2 პასი) დააგროვა.

# კმთილი გულით მიძღვნილი

**19 დეკემბერი. ბუფალო — მონრეალი 1:0, კოლორადო — პიტსბურგი 3:3, ანაჰაიმი — ფინიქსი 2:6.**

**20 დეკემბერი. ფინიქსი — ტორონტო 2:3, ვანკუვერი — ჩიკაგო 0:5, ედმონტონი — დალასი 1:2, სენტ ლუისი — პიტსბურგი 4:1, ბოსტონი — აილენდერსი 3:4, მონრეალი — ოტავა 4:1, კაროლინა — ვაშინგტონი 1:2, კალგარი — ლოს ანჯელესი 1:4, ტამპა — რეინჯერსი 2:2, ფილადელფია — ფლორიდა 2:0.**

**21 დეკემბერი. რეინჯერსი — ბუფალო 0:2, ანაჰაიმი — სან ხოსე 2:4.**

ახალგაზრდა დმიტრი ნაბოკოვი ვანკუვერთან მატჩის წინა დღეს გამოიძახეს ჩიკაგოს ძირითად შემადგენლობაში და აღელვებული ისე აჩქარდა, რომ მთელი ბარგი-ბარხანა შინ, ინდიანაპოლისში დატოვა. უკვანჯოდ დარჩენილი, ალბათ, ვეღარც გამოიდოდა ყინულზე, ვანკუვერელ ადრიან ოკუინს რომ არ შებრალებოდა და თავისი სათადარიგო ჰოკეჯოხით არ დაესაჩუქრებინა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ამ ძღვენმა კანადელები დაღუპა — ნაბოკოვმა თავის პირველსავე შეხვედრაში ორი გოლი გაიტანა. რუსს ნამდვილად ბედმა გაუღიმა: შაიბა ორჯერვე რიკოშეტით გაგზავნა კარში. კანადელები ზედიზედ მეორედ დარჩნენ უგოლოდ, გახარებულმა დებიუტანტმა კი განაცხადა, რომ ძვირფას ყვანჯს მანამ არ გამოიცვლის, სანამ არ გაუტყდება.

სახელოვანმა ჰაშეკმა კვლავ შეგვახსენა თავი და უქმეების ნამდვილი გმირი გახდა. მონრეალთან და რეინჯერსთან მას 75 დარტყმის მოგერიება მოუხდა, თანაც ბუფალოელმა არც ერთი შეცდომა არ დაუშვა. ჰაშეკს განსაკუთრებით კანადელებთან გაუჭირდა, როცა სტუმრები ოდენის (8) ერთადერთი გოლის შემდეგ გამუდმებით უტევდნენ მასპინძელთა კარს.

მონრეალელთა სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ამ წარუმატებლობამ, რომელმაც მათი წამგებიანი სერია ოთხ მატჩამდე გაზარდა, მათ ჟინი შემატა — გუნდმა მეორე დღეს შინ იოლად მოუგო ოტავას. მასპინძლებმა ორი გოლი რიცხვმრავლობაში შეაგდეს, ხოლო კიდევ ერთი რუჩინსკიმ (11) უმცირესობაში გაიტანა.

როცა კოლორადოელი რუა თავის მოედანზე თამაშობს, ეს პიტსბურგს ყოველთვის უიღბლობას უქადის. სახელოვან გოლკიპერს „პინგვინებთან“ შინ არც ერთხელ არ წაუგია და ამჯერადაც, მიუხედავად იმისა, რომ სტუმრებმა ორ წუთში სამი გოლი გაიტანეს (ორი პასი იაგრის ანგარიშზეა), რუა ოდნავადაც არ დაბნეულა. საბოლოოდ „ევალანშმა“ ფრეს მაინც მიაღწია, თანაც გოლკიპერი ერთ საგოლე კომბინაციაშიც მონაწილეობდა. კოლორადოელთა ლიდერებმა, ფორსბერგმა (14) და საკიკმა (17) მორიგი გოლები მიითვალეს. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში ექვსივე შაიბა მეორე პერიოდის პირველ რვა წუთში გავიდა.

თავისი ლიდერის, კარიას დაბრუნებამ ანაჰაიმი მხოლოდ პირველ შეხვედრაში გაამხნევა, მერე კი ამ მოგებას სამი თანმიმდევრული მარცხი მოჰყვა. მართალია, კარიასა (1+2,4) და სელიანეს (2+0) წყვილი ბოლო ორ შეხვედრაში უგოლოდ არ დარჩენილა, თანაც ფინელმა ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერობა კვლავ იგდო ხელთ, მაგრამ ამით დუეტმა თავის გუნდს ვერ უშველა. ფინიქსმა კი კალიფორნიელებთან შეხვედრაში რიცხვმრავლობის გამოყენების უნიკალურ შედეგს — 4-დან 4 — მიაღწია, ოთხჯერვე გუნდის ლიდერის, რენიკის ძალისხმევით, რომელმაც თავის მონაგარს საგოლე პასები შემატა, ხოლო წინა კვირის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებულმა გარტნერმა ხუთ მატჩამდე გააგრძელა თავისი საქულე სერია.

ორი გოლი რიცხვმრავლობაში ლინდროსმაც (1+1,16) გაიტანა: ეს რომ არა, ფილადელფია ვერაფერს მოუხერხებდა ფლორიდის დაცვას.

დაშავებული ჰალის შემცვლელმა იეიკმა (1+2,6) მშვენივრად აუბა მხარი სენტ ლუისის წამყვან ფორვარდებს — ტარჯონს (1+1,4) და კურტნოლს (14) და პიტსბურგთან გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. ედმონტონის უხეშ მცველ მარჩმენტს, როგორც იქნა, კუთვნილი მიუზღეს. მას შემდეგ, რაც დალასელი მოდანო თვენახევრით ჩამოაშორა ყინულს, თავხედმა ჰოკეისტმა „ვარსკვლავთა“ კიდევ ერთი ლიდერი, ადამსი დააშავა. მარჩმენტი ოვერტაიმში გააძევეს და სტუმრებმაც გადამწყვეტი გოლი გაიტანეს. იგი ვერბიკის (14) ანგარიშზეა, რომელმაც წინა მატჩში კარიერაში მე-900 ქულა დააგროვა.

რაც შეეხება რეინჯერსს, იგი ტამპაში მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე გადარჩა: სუინმა (9) ნიუიორკელებს მე-12 ფრე (ყველაზე მეტი ლიგაში) მოუტანა, მაგრამ „რეინჯერებს“ ეს როდი უნდა ახარებდეთ — ბოლო 12 შეხვედრაში მათ მხოლოდ ერთხელ მოიგეს.

ვაშინგტონმა კი მეტად საჭირო ორი ქულა ბონდრას (22) მიერ უმცირესობაში გატანილი გოლის წყალობით მოიპოვა.

**სამველ ლარიბიანი**



ჟამი სიყვარულისა: ანაჰაიმელმა ჟან ჟაკ დენიომ და მსაჯმა სიამტკბილობისთვისაც მოიცალეს

# თხილამურობა

**ქალები: ვალდიზერი (სავოია, საფრანგეთი)**

19.12. გიგანტური სლალომი: 1. დებორა კომპანიონი (იტალია); 2. ალექსანდრა მაისნიცერი (ავსტრია) ჩამორჩა წამის 10 მეასედით; 3. ლელა პიკარი (საფრანგეთი) 119; 4. შტეფანი შუსტერი (ავს) 154; 5. სონია ნეფი (შვეიცარია) 156; ... 9. პერნილა ვიბერგი (შვედეთი) 244

სეზონის სამი გიგანტურის ჯამი: კომპანიონი 300 ქულა; მაისნიცერი 176; ანდრინ ფლემენი (ნორვეგია) 132; მარტინა ერტლი (გერმანია) 131; ნეფი 131

20.12. სლალომი: 1. იულვა ნოვენი (ნორ); 2. კომპანიონი 09; 3. ურსკა პროვატი (სლოვენია) 48; 4. პილდე გერგი (გერ) 51; 5. ზალი სტეგალი (ავსტრალია) 81

კომბინაცია (დაშვება პლუს სლალომი): 1. გერგი; 2. კატია ზაიცინგერი (გერ) 314; 3. ერტლი 521

სეზონის 14 ეტაპის ჯამი: ზაიცინგერი 830 ქულა; გერგი 654; ერტლი 495; მაისნიცერი 461; კომპანიონი 423; იზოლდე კოსტნერი (იტალ) 395; რენატე გეჩლი (ავს) 361; ნოვენი 333

## დებორას ამდენი მოგება აშინებს

გერმანელმა კატია ზაიცინგერმა ზედიზედ მეშვიდე ეტაპი ველარ მოიგო.

ოთხშაბათ-ხუთშაბათს ჩქაროსნულ დისციპლინებში — დაშვებასა და სუპერ-გიგანტში გამარჯვებულმა 25 წლის ქალმა გიგანტური სლალომის პირველ ცდაზე თუმც საუკეთესო დრო გაახერხა, მკლავიც წაკრა კარს და დაიშავა. მეორე ცდაზე კატია ტრასიდან ადრევე გავარდა. მანამდე მეორე შედეგის პატრონი, მისივე თანამემამულე ერტლი ორჯერ დაეცა. ამითი ისარგებლა 27 წლის იტალიელმა დებორა კომპანიონმ, ვინაც პირველი ცდის შემდეგ IV ადგილზე იყო და კარიერაში მე-15 გამარჯვება მოიპოვა.

კომპანიონი გიგანტურის დიდოსტატია. ბოლოჯერ ამ დისციპლინაში წელს, იანვარში დამარცხებულა და მასუკან ზედიზედ რვა სტარტიც მოუგია. ყოველივე ეს ქალს ერთობ აშინებს, ესაო და მარცხის რიგმა მაინცდამაინც ნაგანოს ოლიმპიადაზე არ მიწიოსო.



**გამარჯვება 27 წლის იულვასაც ეღირსა (აპ)**

ზაიცინგერს ნატკენი კიდურის გაშუქება შეეშინდა, ემანდ მოტეხილი არა მქონდესო. ტკივილგამაყუჩებელი ნემსი გაიკეთა, სლალომში მაინც ჩაება და თუმც ერთობ უხეიროდ ისრიალა, კომბინაციაში მეორე ადგილი მაინც დაიჭირა და მონაგარს კიდევ 80 ქულა შემატა. გაუმართლა კომპანიონისაც, ბედმა კი გაწირა სარბიელზე ვალდიზერში დაბრუნებული შვედი პერნილა ვიბერგი, წინა სეზონში მსოფლიო თასის აბსოლუტური ჩემპიონი რომ იყო. ქალი პირველი ცდის შემდეგ ლიდერობდა სლალომს, მაგრამ მეორეზე ხილვადობა რომ გაუარესდა, ტრასის ზედა ნაწილშივე თხილამური გაძვრა და დაეცა.

ვიბერგმა ერთი ამბავი მორთო, ასეთ ავდარში სრიალი სად გაგონილაო. სამაგიეროდ, მძიმე, სველი თოვლი ტუზივით დაეცა შვედსავე იულვა ნოვენს, ვინაც მსოფლიო თასზე მერვე წელია, რაც ასპარეზობს, მაგრამ ეტაპი აქამდე ვერაფრით მოეგო.

ნოვენს პირველ ცდაზე მე-13 შედეგი ქონდა, მაგრამ ერთობ მოუხდა მსაჯთა განაჩენი, რომლის თანახმადაც მეორეზე მოწინავე 30-ეული კი არ დაეშვა შებრუნებული რიგით, არამედ 15-ეული. ტრასა თანდათან რომ წახდა, იულვას შედეგის გაუმჯობესება ველარავინ მოახერხა.

ირაკლი ნინუა

**ვაჟები: ალტა-ბადია (დოლომიტები, იტალია)**

21.12. გიგანტური სლალომი: 1. კრისტიან მაიერი (ავსტრია); 2. მიხაელ ფონგრენიგენი (შვეიცარია) ჩამორჩა წამის 43 მეასედით; 3. ჰერმან მაიერი 66; 4. შტეფან ებერჰარტერი 73; 5. ჰანს კნაუსი (ყველა ავსტრია) 128; ... 10. ხეტილ-ანდრე ომოდტი (ნორვეგია) 192

სეზონის ოთხი გიგანტურის ჯამი: ფონგრენიგენი 280; ებერჰარტერი 230; ჰ. მაიერი 220; კ. მაიერი 199; კნაუსი 145

სეზონის 10 ეტაპის ჯამი: ჰ. მაიერი 489 ქულა; ებერჰარტერი 396; ფონგრენიგენი 390; ომოდტი 323; ი. შტრობლი (ავს) 308; კ. მაიერი 232; ანდრეას შიფერერი (ავს) 221; კნაუსი 220

## ხან ნისლია და თოვს, ხანაც დაუთბებათ და ...

დოლომიტების ალპებში ამინდს აბუჩად აუგდია სამთო თხილამურობის მამები.

პარასკევსა და შაბათს ვალ-გარდენაში ორი დაშვება უნდა გამართულიყო: ერთი კალენდარული, მეორე კი ის, წინა შაბათს ვალდიზერში რომ ჩაიშალა. ხუთშაბათის ბოლო ვარჯიშში საუკეთესო დრო იტალიელ პიეტრო ვიტალინის ქონდა, მაგრამ ოხრად დაურჩა.

ღამით თოვლი წამოვიდა. თოვდა სტარტის წინაც, რის გამოც ტრასა 300 მეტრით დაამოკლეს და შეჯიბრის დაწყებაც ორი საათით გადადეს, მაგრამ ასპარეზი ბურუსში რომ ჩაინთქა, სრიალი შეწყდა. ამ დროს 60 მონაწილიდან 12-ს მოესწრო დაშვება. პირველ ადგილზე ფრანგი ჟიან-ლიუკ კრეტიე ბრძანდებოდა.

შედეგები გაუქმდა და შაბათს ერთბაშად ორი დაშვების გამართვა გადაწყდა, მაგრამ ვერც აქედან გამოვიდა რამე, რადგან დათბა, თოვლი წვიმად იქცა და არც ნისლი გაფანტულა. მოკლედ, ორივე ეტაპი ჩაიშალა, რასაც გუშინ ვალ-გარდენადან დასავლეთით მდებარე მადონა-დი-კამპილიოში დანიშნული სლალომის გადადებაც დაემატა. თუ უფალმა ინება, მირამონტის ტრასასთან 31-წელ-მოყრილი იტალიელი ალბერტო ტომბას გამოთხოვება დღეს მოხდება.

მოკლედ, უიკ-ენდზე ერთადერთი შეჯიბრის გამართვა მოხერხდა — ალტა-ბადიაში. იქაური გიგანტური სლალომის ოთხგზის გამარჯვებული ტომბა პირველი ცდის შემდეგ მე-6 ადგილზე იყო, მაგრამ მეორეზე კარი გამორჩა და წაიქცა.

კარიერაში ოდენ მეორედ გაიმარჯვა 25 წლის ავსტრიელმა კრისტიან მაიერმა, მისმა გუნდმა კი მოწინავე რვეულში შვიდი ადგილი დაიჭირა. თავზეხელალებული ავტო-მრბოლი მაიერი ზაფხულში ორ ავარიას გადაურჩა, ოქტომბრიდან კი თხილამურის მარკა გამოიცვალა და შედეგებიც გვარიანად გაიუმჯობესა.

ისევ ფათერაკი შეემთხვა მეორე მაიერს, სახელად ჰერმანს, ვისი და კრისტიანის გვარები ერთნაირად კი ითქმის, მაგრამ სხვადასხვაგვარად იწერება. არა, ამჯერად თხილამურის ნაადრევად მოხსნისთვის მისთვის პირველობა არ ჩამოურთმევიათ, მაგრამ მეორე ცდის წინ მონაწილის წინსაფარი რომ მოპარეს, მსაჯებმა სავარჯიშო სამოსზე ნომერი ფლომასტერით დააწერეს.

# რაგბი

**„ჰაინეკენის" ევროპის თასის ნახევარფინალი**

20.12. ბათი (ინგლისი) 20 (11) (ლ: უბოგუ; 5ს: კალარდი) — პო (საფრანგეთი) 14 (9) (ლ: ბერნასალი; 3ს: ოკანი) (8 500 მოსეირე)

21.12. ტულუზი (საფრანგეთი) 22 (16) (7) (ლ: ბონდიუი; გ: დელეგი; 5ს: დელეგი 3, დეილო 2) — ბრივი (საფრანგეთი) 22 (16) (8) (2ლ: მანი, ს. კარა; 4ს: ლამეზონი) (27 ათასი)

**ევროპული კონფერენციის ნახევარფინალი**

20.12. აჟონი (საფრანგეთი) 12 (3) (3ს: მაზა; ა: ბუიკი) — ნიუკასლი (ინგლისი) 9 (9) (3ს: ენდრიუ) (6 ათასი)

კოლომიე (საფრანგეთი) 19 (16) (2ლ: სიორაკი, დეჟუსტი; 3ს: ლაბი) — სტად-ფრანსეზი (პარიზი, საფრანგეთი) 13 (10) (ლ: ლომბარდი; გ და 2ს: რეითი) (4 500)



უკეთესი სანახაობა გაიმართა ტულუზის საფეხბურთო კლუბის სტადიონზე. „ჰაინეკენის" თასის წინა მფლობელი „ტულუზი", იმავდროულად საფრანგეთის ბოლო ოთხი წლის უცვლელი ჩემპიონი რომაა, მასპინძლობდა თასის ახლანდელ მფლობელ „ბრივს", რომელიც ნაკრების მოთამაშეებითაა გადაჭედილი. მატჩი დამატებითი დროის მიუხედავადაც ფრედ რომ დასრულდა, ფინალში გავიდა ის გუნდი, ვინაც მეტი ლელო გაიტანა.

რაგბი ხისტი იყო — დაშავდა და შეცვალეს რვა (!) მოთამაშე. „ბრივი" 8:0 იგებდა. ლელოს გატანას შეეწირა ფლანკერი მანი. მერე „ტულუზმა" იძალა და ბოლო წუთამდე წინაც იყო 16:11, მაგრამ სტუმართა გარემარბი ძმების — ჟერომ და სებასტიან კარათა გამოისობით და 9 ნომერ კარბონოს დიდებული, გრძელი პასით ანგარიშში გაყაიმდა. ნაკრებისა და „ბრივის" დამრტყმელმა ლამეზონმა (ფოტოზე) გარდასახვა ლამის კარის წინიდან დაკრა, მაგრამ ააცილა და დამატებითი დრო დაინიშნა.

აქ წინ ბოლო ისევ „ტულუზი" გაიჭრა, მაგრამ ბოლო წუთზე ლამეზონმა ნერვები მოთოკა, 27 მეტრიდან შეაგდო საჯარიმო და სტადიონი ჩააჩუმა. „ბრივმა", წელს უელსის „პონტიპრიზთან" მუშტი-კრივში რომ გამოიწრთო, ზედიზედ მეორედ უწია ევროპულ ფინალს.

## იმათ მეტი ლელო გაიტანეს

„ბათი" ინგლისის უპირველესი კლუბია. ბოლო 15 წლის მანძილზე ქვეყნის თასი 10-ჯერ მოუპოვებია, ჩემპიონობა — 6-ჯერ, ეროვნული ნაკრების წინა და ამჟამინდელი მწვრთნელები — ჯეკ რაუელი და კლაივ ვუდვორდიც აქედან დაწინაურებულან, მაგრამ კლუბის ახლანდელი მოძღვარი ენდი რობინსონი ამბობდა, ევროპის თასის ნახევარფინალი კლუბის 132-წლიან ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მატჩიაო. ნეტა რაღას იტყვის მწვრთნელი ფინალის გამო, რომელიც გაისად, 31 იანვარს ბორდოში, 36-ათასა „ლეკიურზე" გაიმართება.

„ბათმა" „პოსთან" აქტიურად დაიწყო, მაგრამ ფულბეკმა კალარდმა შესვენებამდე კარს ოთხი დარტყმა ააცილა. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს 0:3. 32-ე წუთზე ტვინის-შერყევა-გადატანილმა მაიკ კეტმა, დეგლევილმა და ორმა ნიგერიელმა — გარემარბმა ადებაიომ და ბურჯმა უბოგუმ მარჯვნივ შეუტიეს, რაც ლელოთი დაგვირგვინდა. საათის თავზე მასპინძლები 17:9 იგებდნენ, 65-ე წუთის შემდეგ კი ანგარიში აღარ შეცვლილა. „ბათმა" ფინალში გასვლით ისე გაიხარა, რომ ნამატჩევს „რეკრიეიშენ გრაუნდს" კიდეც შემოურბინა.

კონფერენციაში მარცხი შეემთხვა ფეხბურთის „ნიუკასლის" წყუპისცალ რაგბის გუნდს, რომელიც აგრეთვე მსოფლიოს ნაკრებია. აჟონში ქარი ქროდა და შესვენებამდე ინგლისისა და შოტლანდიის ძველმა ნახევარმცველებმა — ენდრიუმ (10) და არმსტრონგმა (9) გუნდი პრაგმატულად ათამაშეს. „ნიუკასლი" 9:3 დაწინაურდა. მეორე ნახევარში მასპინძლებმა იყოჩაღეს. ვერ გაჭრა ექს-„ოლ ბლეკი" და ექს-ლიგელი, აწ კი სამოელი ვაიგა ტუიგამალას ლომუსებრმა მიძალებამ. 73-ე წუთზე მასპინძელთა გარემარბმა ნიკოლა მაზამ 50 მეტრიდან შეაგდო საჯარიმო და ბრიტები მშრალზე დატოვა.

მხოლო ტესტი. ბოლონია. სტადიო დალარა. 7 ათასი მაყურებელი: იტალია 37 (9) (3ლ: დომინგესი, პილატი, სტოიკა; 2გ და 6ს: დომინგესი) — ირლანდია 22 (9) (ლ: ომაპონი; გ: ელვუდი; 5ს: პამფრიზი 4, ელვუდი). მსაჯი დიდიე მენე (საფრ)

იტალიამ ზედიზედ მესამედ ძლია ირლანდია. მისმა ექს-არგენტინელმა 10 ნომერმა დიეგო დომინგესმა ერთბაშად 27 ქულა მოიხვეჭა და რაგბის ბრიტანელ მამებს კიდევ შეახსენა, რომ 2000 წლიდან ხუთი ერის პირველობაზე იტალიის დაუშვებლობა ალარ იქნება.

თამაში ფრანგმა მსაჯმა წაახდინა. მიკერძოება არ დამწამონო და პირველ ნახევარში მან მეტოქენი 14-14-ჯერ დაჯარიმა. ამის გამო ანგარიშიც საყაიმო იყო. ამას დაერთო ირლანდიელთა ტაქტიკური მოუქნელობაც:

## დამიშვი! არ დაგიშვებ!

მათ სამი 5-მეტრა შერკინება გაფლანგეს, ხოლო 10 ნომერ ჰამფრიზს ცხვირი რომ გაუტყდა, მთლად აირივნენ.

იტალიამ დასკვნით მეოთხედში იძალა. ირლანდიამ იერიშში სამჯერ დაკარგა ბურთი და სამი ლელო გაუშვა — 67-ე, 72-ე და 75-ე წუთებზე, დომინგესმა კი წამატებულ დროში მეექვსე საჯარიმოც შეაგდო.

„ხუთ ერზე" იტალიის დაშვებ-დაუშვებლობა გაისად, 16 იანვარს გადაწყდება.

# აფროსნობა

## ოპერის წინ დღეს ფინიშია

**ვიტბრედის გარსაქვეყნო ნაოსნობა ვოლვოს თასზე**

Whitbread

III სტადია. ფრიმენტლი — სიდნეი
13 - 22 დეკემბერი (2250 მილი)
ვითარება გუშინ, გრინვიჩის დროით 06.00 საათზე

| იახტა | დროშა | ქ | სკიპერი | დარჩა |
|---|---|---|---|---|
| სვიდიშ მეჩ | შვედ | 161 | კრანცი | 117.9 |
| ი-ეფ ლენგვიჯ | შვედ | 197 | კეიარდი | +1 |
| ჩესი რეისინგ | აშშ | 132 | კოლინზი | +7.1 |
| ინოვეიშენ კვერნერ | ნორვ | 207 | ფროსტადი | +7.8 |
| მერიტ კაპ | მონაკო | 158 | დოლტონი | +8.2 |
| სილკ კატ | ბრიტ | 168 | სმითი | +9.1 |
| ტოშიბა | აშშ | 157 | სტენდბრიჯი | +10.4 |
| ბრიუნელსანერჯი | პოლანდ | 36 | პაინერი | +12.3 |
| ი-ეფ ედუკეიშენ | შვედ | 60 | გიუ (ქალი) | +14.4 |




„მეჩი" სიდნეისკენ გუშინ პირველი მიცურავდა, მაგრამ სტადიას თუ ვინ მოიგებს, ბოლაზშილა გადაწყდება

რად გაისარჯა პოლ კეიარდი? რად ლიდერობდა მესამე სტადიას ანაც სხვაობის გაზრდას რაღად ეშურებოდა? შეცურა გარსაქვეყნო ნაოსნობის ფლოტმა ვიქტორიის შტატისა და ტასმანიის გამყოფ ბასის სრუტეში და ყველა ნავი ლამის იყო გათანაბრდა. ამ დროს ფინიშამდე 750 მილი რჩებოდა.

ყველაფერი ეს პარასკევ სალამოს მოხდა. ჩრდილო-დასავლეთის ქარი ყველას 12 კვანძით მიერეკებოდა მიზნისკენ. სხვებზე მეტად „სილკ კატმა" იყოჩაღა და ერთი პირობა მეორე პოზიციაზეც გადავიდა, მაგრამ მის ბრიტანელ სკიპერ ლორი სმითსა და ამ ზღვაოსნის გამოზრდილ პოლ სტენდბრიჯს, ამერიკელი დენის კონერის „ტოშიბა" რომ აბარია, განკითხვის დღე შაბათს დაუდგათ — თითომ 20 მილი იზარალა.

ამ დროისთვის კეიარდის „ლენგვიჯს" „მეჩი" და „ინოვეიშენი" გვარიანად წამოეწივნენ. არადა, ამ სტადიაზე ორივე მდევარს გაებზარა ანძის ფუძე და შესაკეთებელი გაუხდა. კეიარდი ნავიდან გაგზავნილ ელექტრო-ბარათებში გაფლანგულ უპირატესობას რომ მიტიროდა, „მეჩის" კაპიტანი გუნარ კრანცი ლოცულობდა, ჩრდილოეთის ქარი არ გაძლიერდეს, თორემ ჩემი ნავის ანძა ნაღდად ველარ გაუძლებსო.

თითქოს ერთი კვირის წინდელი დაზიანება არა კმაროდა და შაბათღამ ნორვეგიის იახტას კაცი აფოფრილ ზღვაში გადაუვარდა. ავსტრალიელი მექიმე ელბი პრატი აფრებს რომ ცვლიდა, 25-კვანძა გრიგალმა ნავიდან მოისროლა, მაგრამ სკიპერმა კნუტ ფროსტადმა ამჯერადაც იმარჯვა, განგაში გამოაცხადა და ბეჩავი მეზღვაურიც შვიდ წუთში სამშვიდობოს იყო.

„ინოვეიშენის" ეკიპაჟი ამ საქმეში ფრიად დახელოვნებული ყოფილა, რაც საფუძვლიანი მომზადების წყალობაა. ფროსტადის ბრძანებით ნავს აფრები უმალ დაუშვია, რათა ძრავი ჩაერთო და გაეწია ჭირში ჩავარდნილისკენ, რომელიც უკუნ ღამეშიც მშვენივრად ჩანდა, რადგან სამოსზე მოციმციმე ნათურა კეთებია.

კვირას, გრინვიჩულად 06.00 საათზე „ლენგვიჯი" „მეჩს" 2.2 მილსღა უგებდა. ამასობაში ფლოტი ავსტრალიის აღმოსავლეთ ნაპირს აღმა აუყვა, მაგრამ რაკი იქ მძლავრი სამხრეთული დინებაა, ხმელეთს 1.5 მილზე მეტად არ დაახლოებია. „მეჩი" პოზიციათა საორშაბათო შეჯერებისას უკვე ლიდერად მოევლინა ქომაგთა მრავალრიცხოვან ამქარს, ფლოტს ახალი სამხრეთი უელსის დედაქალაქ სიდნეიში რომ მიელის.

ზღვიდან მოსული ცვალებადი ინფორმაცია სულს რომ უფორიაქებთ, მეზღვაურთა ოჯახები და ახლობლები ლამისაა ერთმანეთს დაერიონ. ერთი კია, ფინიში უკვე ერთი დღე-ღამით დაგვიანდა და სიდნეის ოპერის წინ დღეს ალბათ უკვე გაიმართებოდა.

მიხო ნინუა

მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები
დამცავი ჟალუზები
მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840

e-mail dato@acacia.postnet.ge

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29